19 – 25 ოქტომბერი 2017
ფასი 1 ლარი 70 თეთრი

# ახალი განათლება

№30 (784) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

## WORLDSKILLS INTERNATIONAL




გვერდი 7

ლიტერატურული კონკურსი

## შემოდგომა რაჭაში – მწიგნობარი 2017

გვერდი 4

თვალსაზრისი

## სკოლებში ფიზიკის სწავლების შესახებ

გვერდი 6

გამოცდილება

## უცხოური ენის სწავლების ხელოვნება

გვერდი 8

## გაიცანით მენტორი

წელს პირველად, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში, 9 მასწავლებელმა მენტორის სტატუსი მოიპოვა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, გიორგი მაჩაბელმა გადაწყვიტა, რომ მენტორ მასწავლებლებს სკოლაში თავად ესტუმროს და გადასცეს სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატი. რამდენიმე მათგანს უკვე ეწვია, რადგან მიიჩნევს, რომ ეს განათლების სისტემაში ისტორიული ფაქტია.

**გიორგი მაჩაბელი:** *„მართლაც ისტორიული ფაქტია, რომ საქართველოს განათლების სისტემას პირველად ჰყავს უმაღლესი წოდების ცხრა პედაგოგი. მართალია, ეს არ არის ბევრი, მაგრამ პროცესი წინ წავა და იმედი გვაქვს, მომავალ წლებში, მენტორების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ცხრავე პედაგოგმა შრომითა და მიზანდასახულობით მიაღწია ამ შედეგს – უმაღლესი რანგის საფეხურს და ღირსეულად მიიღო მენტორის წოდება. ამას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ სკეპტიკოსები ხშირად იმეორებდნენ, დაიწყებოდა მენტორობის წოდების „დარიგება“ და ა.შ. ძალიან სკრუპულოზურად გავეცანით მათ მიერ განვლილ გზას, დოკუმენტაციას და სიხარულით მინდა აღვნიშნო, რომ მართლა ვერც ერთი ნაკლი ვერ ვუპოვეთ ვერც ერთ პედაგოგს – მათ თავიანთი შრომით ღირსეულად დაიმსახურეს მენტორის სტატუსი. აუცილებლად მინდა აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ სატელევიზიო სიუჟეტებში ითქვა, თითქოს, სქემის ამოქმედებიდან, შვიდი წლის შემდეგ მოხდა ეს ფაქტი, რაც არასწორია. სქემა არა შვიდი წლის წინ, არამედ 2015 წელს დაინერგა და, შესაბამისად, უკვე სამი წელია, რაც მუშაობს, აქედან გამომდინარე, სამი წლის თავზე გვყავს ცხრა მენტორი მასწავლებელი. ვფიქრობ, სამი წელიწადი არც ბევრია და არც ცოტა ამ შედეგისთვის. ყველაფერი მიდის დაგეგმილად და განვითარების გზით, რაც იმის მანიშნებელია, რომ მომავალ წელს, გაცილებით მეტი მენტორი გვეყოლება.*

*რაც შეეხება მენტორის სტატუსის პირდაპირი გზით მინიჭებას, ეს პროცესი ჯერ-ჯერობით დამუშავების პროცესშია, საჭიროა შემუშავდეს, როგორ მოხდება მენტორობის კანდიდატების გამოვლენა და სტატუსის მინიჭება კომისიური წესით, თუმცა, ეს ძალიან განსაკუთრებულ შემთხვევებში იქნება, ასევე ძალიან განსაკუთრებული დამსახურების პედაგოგებისთვის და, თავისთავად, არა ყოველდღიურ რეჟიმში.*

*მენტორებს პირადად ვხვდები და საზეიმო ვითარებაში გადავცემ უმაღლესი სტატუსის დამადასტურებელ სერტიფიკატს. უკვე ვიყავი და გადავეცი სერტიფიკატი ქუთაისის №33 საჯარო სკოლის პედაგოგს, ასევე, ჯვარის №2 (წალენჯიხა), სალიბაურის №2 (ხელვაჩაური) და თბილისის №128 საჯარო სკოლების პედაგოგებს. დაგვრჩა თბილისის რამდენიმე სკოლა. ძალიან სასიხარულოა, რომ პოზიტიურად უყურებენ ამ ფაქტს როგორც უშუალოდ მასწავლებლები, ასევე ის პედაგოგიური კოლექტივები, სადაც მენტორ მასწავლებლებს უწევთ მოღვაწეობა. ამ საზეიმო ფაქტს რესურსცენტრების წარმომადგენლები ესწრებოდნენ და ჩვენ, თავისთავად, მათი ღვაწლიც აღვნიშნეთ.*

*მენტორის სტატუსის მინიჭება არ ნიშნავს მხოლოდ სტატუსს, რადგანაც ეს პედაგოგები განათლების სისტემის რესურსს წარმოადგენენ. ჩვენი ცენტრი, მათ იმ თანამშრომლობით ველს შეუქმნის, რომლის ფარგლებშიც, მენტორები თავიანთ კოლეგებს გაუზიარებენ გამოცდილებას, არა მხოლოდ იმ სკოლის პედაგოგებს, სადაც თავად მუშაობენ, არამედ გახდებიან პროფესიაში შესული ახალბედა მასწავლებლების გზამკვლევები. ფაქტობრივად, მენტორი მასწავლებლები ადგილებზე ჩვენი ცენტრის სერიოზული რესურსია. ჩვენი საბოლოო მიზანიც ხომ ეს არის – სკოლები ისე გავაძლიეროთ, რომ მათ საკუთარი რესურსით ადგილებზე შეძლონ პროფესიული განვითარების პროგრამების ორგანიზება და განხორციელება. ასე რომ, მომავალში, მათთან ერთად, ბევრი საინტერესო პროგრამის განხორციელებას ვგეგმავთ.“*

„ახალმა განათლებამ“ გადაწყვიტა ახალი რუბრიკით – „გაიცანით მენტორი“ შემოგთავაზოთ ინტერვიუები მენტორ მასწავლებლებთან. დღევანდელ ნომერში გაგაცნობთ **ნათია დარჩიას** (თბილისის №128 საჯარო სკოლა, დაწყებითი კლასების მასწავლებელი), **ნატა ბიჭიკაშვილს** (შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა – თბილისი, ბიოლოგიის მასწავლებელი) და **გულნაზ ხორბალაძეს** (თბილისის №128 საჯარო სკოლის დირექტორი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი). გთავაზობთ ინტერვიუებს, რომელიც სპეციალურად ამ რუბრიკისთვის ჩაიწერა.



გვერდი 2

CMYK

გაიცანით მენტორი

# უმაღლესი წოდება თანამედროვე პროფესიულ გამოწვევებთან ჭიდილში



ნათია დარჩია



ნატა ბიჭიკაშვილი



გულნაზ ხორბალაძე

შეგახსენებთ, რომ მასწავლებლებმა, სქემის ფარგლებში, სხვადასხვა პროფესიული აქტივობების განხორციელების გზით, მენტორის სტატუსის მისაღებად გათვალისწინებული 25 კრედიტქულა დააგროვეს.

მენტორის სტატუსის მისანიჭებლად წამყვანი მასწავლებელი:

❖ ატარებს, არანაკლებ, 4 სამოდელო გაკვეთილს (თითოეული – 1 კრედიტქულა);

❖ ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებების კვლევასა და, კვლევის შედეგების საფუძველზე, ატარებს სამუშაო შეხვედრას კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარების მიზნით (3 კრედიტქულა);

❖ ქმნის სასწავლო რესურსს ან რეცენზირებულ პროფესიულ ლიტერატურას (2 კრედიტქულა);

❖ ახორციელებს დამატებით საქმიანობებს/აქტივობებს (16 კრედიტქულა).

მენტორის სტატუსის მისანიჭებლად წამყვანი მასწავლებელი სტატუსის შესაბამის კრედიტქულებს საჭიროებებზე დაფუძნებით აგროვებს. მასწავლებლის შეფასების ჯგუფი აფასებს წამყვანი მასწავლებლის მიერ განხორციელებულ საქმიანობებს და, მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში არსებული დოკუმენტების შეფასების საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას წამყვანი მასწავლებლისათვის მენტორის სტატუსის მინიჭების თაობაზე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის, წინადადების წარდგენის შესახებ. მენტორის ფუნქცია-მოვალეობები მიმართულია სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე და კათედრისა და სკოლის განვითარებაზე. მენტორს სტატუსი უვადოდ უნარჩუნდება.

## რატომ აირჩიეს პედაგოგობა და რას ნიშნავს მათთვის მასწავლებლის პროფესია

**ნათია დარჩია:** რაოდენ გასაოცრადაც უნდა მოგეჩვენოთ, არასოდეს მქონია მასწავლებლობის სურვილი. მინდოდა ვყოფილიყავი იურისტი, ექიმი, კონდიტერი, მსახიობიც კი, მაგრამ მასწავლებელი – არა. პროფესია მამაჩემის დაჟინებული თხოვნითა თუ შეგონებით ავირჩიე. მას დიდი გამოცდილება ჰქონდა ახალგაზრდებთან მუშაობის (თსუ-ს პროფესორი გახლდათ, მანამდე კი მასწავლებლადაც მუშაობდა) და მითხრა: გაქვს ყველა თვისება იმისთვის, რომ შენგან კარგი მასწავლებელი ჩამოყალიბდესო. მეც, ამ არგუმენტის გათვალისწინებით, ბედი ვცადე.

ეს ის შემთხვევაა, როცა თავდაპირველი განწყობა და სკოლასთან პირველივე შეხებისას მიღებული შთაბეჭდილება არ დაემთხვა ერთმანეთს. მახსოვს, 55-ე სკოლაში (სადაც ბატონებმა – ალექსანდრე წერეთელმა და ვალერიან რამიშვილმა წაგვიყვანეს) პირველი ჩატარებული გაკვეთილი და პატარა პირველკლასელთა თვალები, დიდი სიყვარულითა და იმედით რომ შემოგყურებენ. მათთვის მასწავლებელიც ხარ, დედაც, მშველელიც, მრჩეველიც, მეგობარიც. შენ ასწავლი, შენ ქმნი საძირკველს, რომელზედაც მათი მომავალი აშენდება. ეს უაღრესად საპასუხისმგებლო, ძალიან საპატიო და უდიდესი საქმეა. მე მაქვს პატივი, რომ ავიღე ეს ვალდებულება და აგერ უკვე 31 წელია ამ საქმეს ვემსახურები.

**ნატა ბიჭიკაშვილი:** უზომოდ მიყვარს ბავშვები, მომწონს მათთან მუშაობა, ურთიერთობა. მასწავლებლობა ჩემთვის ყველაფერია, ვიღვიძებ და ვიძინებ ჩემს მოსწავლეებზე ფიქრით. დღევანდელ პედაგოგს მუდმივად უწევს ზრუნვა საკუთარ განვითარებაზე, რადგანაც ინტერნეტში უამრავი ინფორმაციაა, რომელსაც ბავშვები ეცნობიან, სვამენ შეკითხვებს, ამიტომ, პედაგოგი მუდმივად უნდა იყოს მზად, გაეცნოს სიახლეებს და ბავშვების ცნობისმოყვარეობა მაქსიმალურად დააკმაყოფილოს. ეს კარგიც არის, რადგანაც იზრდება მოსწავლეების ინტერესი და სწავლისადმი მოტივაცია.

**გულნაზ ხორბალაძე:** თბილისის №15 სკოლაში საუკეთესო პედაგოგები მასწავლიდნენ, რომლებმაც ძალიან შთამბეჭდავი და პოზიტიური გავლენა იქონიეს ჩემზე. ამ გზას რომ დავადექი, სწორედ მათი დამსახურებაა.

მასწავლებლობა, ზოგადად, ძალიან კეთილშობილური საქმეა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე რთული და, ამავდროულად, დაუფასებელი პროფესიაა. როგორც ღარიბი ქვეყნის წარმომადგენლები, მასწავლებლებიც ვაწყდებით სოციალურ პრობლემებს. სხვადასხვა სტატუსის მქონე მასწავლებლებს ხელფასიც განსხვავებული ოდენობის აქვთ. სქემით ყველაზე დაბალ საფეხურზე მყოფი პრაქტიკოსი მასწავლებლის ანაზღაურება კი ძალიან დაბალია. ამის გარდა, სწავლა-სწავლების პრობლემის წინაშეც ვდგავართ. დიმიტრი უზნაძე, თავის დროზე ამბობდა, რომ არსებობს აღზრდის ტრაგედია და სწავლის ტრაგედია. ზოგადად, ბავშვი ცდილობს თავი დააღწიოს სწავლას, მასწავლებელი კი უფრო მომავლისკენ იხედება, რაც მათ შორის ბარიერს წარმოშობს – სწავლა მაინც ძალდატანებითი პროცესია. ვფიქრობ, ეს პრობლემა დღესაც არ განელებულა და ამიტომაც ვდგავართ ამ დილემის წინაშე. ამას ისიც ერთვის, რომ ჩვენი საგნობრივი სტანდარტები უაღრესად რთულია, განსაკუთრებით, საბაზო საფეხურზე. მასწავლებელს, ხშირ შემთხვევაში, უწევს უვარგის სახელმძღვანელოებთან და რთულ სტანდარტებთან შეჯახება, მუდმივი ფიქრი იმაზე, როგორ გაუადვილოს ბავშვს სწავლის პროცესი. პრობლემას ვაწყდებით შეფასების კომპონენტშიც. წლების განმავლობაში შექმნილი ვაკუუმი გაირღვა და ეროვნულ სასწავლო გეგმებში გაჩნდა შეფასების თანამედროვე სტანდარტები – მიმდინარე განმავითარებელი, განმსაზღვრელი და შემაჯამებელი შეფასება. ეს, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ აუცილებლად უნდა გადამოწმდეს შეფასების ინსტრუმენტები. ვფიქრობ, მოსწავლის ყოველდღიური გამოძახება ზოგჯერ მასწავლებელს სასაცილო მდგომარეობაში აგდებს. დასადგენია, რამდენად ეფექტურია მოსწავლის ყოველდღიური გამოკითხვა და ეს მარტივად შეიძლება გავარკვიოთ: მოვხსნათ რომელიმე კლასში შეფასების ეს სისტემა და შემდეგ შედეგები შევადაროთ სხვა კლასების შედეგებს. ჩემი აზრით, საკმარისია შეფასების შემაჯამებელი ფორმების გამოყენება, განსაკუთრებით კი მაღალ კლასებში, რადგან ხშირად სწორედ ნიშანია დილემა და ის აფუჭებს ურთიერთობას მოსწავლესა და მასწავლებელს შორის.

## ქართველი მასწავლებლის მთავარი გამოწვევა

**ნათია დარჩია:** მასწავლებლის მთავარი გამოწვევა სწავლების პროცესის საინტერესოდ წარმართვაა, ისე, რომ მოსწავლემ მხოლოდ ცოდნის დაგროვება კი არ მოახერხოს, არამედ შეძლოს მისი გამოყენება, ცოდნის ტრანსფერის განხორციელება.

სწავლა, როგორც ასეთი, არ არის იოლი და შესაბამისად, არც სასიამოვნო პროცესი, ამიტომ, მასწავლებელმა სწავლების ისეთი მეთოდები უნდა გამოიყენოს, ისე უნდა წარმართოს გაკვეთილი, ისეთი გარემო უნდა შექმნას, რომ მოსწავლემ კმაყოფილება არა მხოლოდ თავისი შრომის შედეგით, არამედ პროცესითაც მიიღოს. თუ მოსწავლეები დასახული მიზნის მიღწევას საკუთარი ძალებით მოახერხებენ, თვითონ აღმოაჩენენ ცოდნას, თვითონ მოძებნიან პრობლემას და მისი გადაჭრის გზებს, ასეთ შემთხვევაში მოტივირებულებიც იქნებიან და ხალისითა და ინტერესით ჩაერთვებიან სასწავლო პროცესში. გაკვეთილის საინტერესოდ წარმართვა ხელოვნებაა და მასწავლებლის დამსახურება. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის განვითარებას ისეთი სწავლებით, რომელიც ითვალისწინებს ბავშვის ინტერესებს, საჭიროებას და განვითარების დონეს. თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს მასწავლებელს, სწავლება საინტერესო პროცესად აქციოს, ხოლო მოსწავლეს – სწავლა სასიამოვნოდ. ინტერნეტრესურსების გამოყენება, პროექტებით სწავლება, ჯგუფური მუშაობა, კონსტრუქტივისტული მეთოდის გამოყენება, დიფერენცირებული სწავლება, ვიზუალური სქემებისა და გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება, თითოეული მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება, როლური თამაშები, სიტუაციის მოდელირება, საინტერესო კლასგარეშე აქტივობები და კიდევ სხვა უამრავი მეთოდის ერთიანობა ოპტიმალურად წარმართავს სასწავლო პროცესს როგორც მასწავლებლისთვის, ისე მოსწავლისთვის. საშუალებას აძლევს მასწავლებელს, შემოქმედებითად მიუდგეს ნებისმიერ საქმიანობას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა უნარების მაქსიმალურ გამომჟღავნებას.

**ნატა ბიჭიკაშვილი:** იცვლება დრო და იცვლება საზოგადოებრივი დაკვეთაც. დღევანდელ ახალგაზრდებს უამრავი გამოწვევა აქვთ, ჩვენ უნდა შევძლოთ და ცვლილებებს ფეხი ავუწყოთ, რათა ბავშვებს მათ გადალახვაში დავეხმაროთ.

**გულნაზ ხორბალაძე:** დღევანდელი მასწავლებლის მთავარი გამოწვევა, დასახელებულ პრობლემებთან ერთად, მაინც ბავშვია, მას უნდა გავუჩინოთ მოტივაცია, რომ კარგ შედეგებზე გავიყვანოთ.

## სქემის სირთულეები და რეალისტური საფეხურებრივი წინსვლა

**ნათია დარჩია:** პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა მასწავლებლის ერთ-ერთი აუცილებელი თვისება და მოთხოვნილება უნდა იყოს, განსაკუთრებით თანამედროვე, ტექნიკური პროგრესის პირობებში, როცა ჩვენს მიზანს ისეთი მოსწავლის აღზრდა და ჰარმონიული განვითარება წარმოადგენს, რომელიც XXI საუკუნეში ცხოვრებას შეძლებს, რაც შეუძლებელია უწყვეტი პროფესიული თვითგანვითარების გარეშე.

პირველი, რაც მასწავლებელს ეხმარება პროფესიულ განვითარებაში, ესაა მოსწავლეთა ერთ ნაკადთან მიღებული გამოცდილების მეორესთან გამოყენება.

მთავარი მაინც მოსწავლეთა საჭიროებების დადგენაა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიხვდები, თუ რა უნდა ისწავლო ახალი ისეთი, რომ ხელი შეუწყო მათ განვითარებას, სწორად დაგეგმავ, რა მიმართულებითაა საჭირო კვალიფიკაციის ამაღლება, ანუ განსაზღვრავ იმ პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომლებიც საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებაში დაგეხმარება. ამ მხრივ, სქემა გვთავაზობს მრავალფეროვან აქტივობებს, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს პედაგოგის კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც, ბუნებრივია, მისი წინსვლის წინაპირობაა.

ყველაზე მეტი სირთულე, ვფიქრობ, ფორმალური მხარის მოგვარების აუცილებლობაა. სხვა მხრივ, დარწმუნებული ვარ, ჩემი კოლეგებისთვის განსაკუთრებული სირთულე არ უნდა იყოს ნებისმიერი აქტივობის განხორციელება.

**ნატა ბიჭიკაშვილი:** აქტივობებს, რომლებშიც დღეს კრედიტებს გვაკუთვნებენ, სქემამდეც ვაკეთებდით და კვლავაც გავაკეთებთ. გარდა ამისა, მასწავლებლის სახლი მუდმივად გვთავაზობს საინტერესო ტრენინგებს, სადაც ბევრი სასარგებლო ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი.

**გულნაზ ხორბალაძე:** რაც მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრმა გააკეთა, ეს ნამდვილად პოზიტიური მოვლენაა. ოცი წელია, განათლების სისტემაში ვმუშაობ და მუდმივად იყო წუხილი იმაზე, რომ მასწავლებლის შრომისადმი დიფერენცირებული მიდგომა არ არსებობდა და ყველა ერთ ქვაბში ვიხარშებოდით. არ გვქონდა სტიმულირების ბერკეტები. ახლა ყინული გალღვა და პატარა იმედიც გაჩნდა, რადგან მასწავლებელს უკვე შეუძლია, სქემით დაწესებულ კიბეზე გადაინაცვლოს, ჩვენს სინამდვილეში ეს მართლაც პოზიტიური მოვლენაა – ქვეყანაში მასწავლებლის პროფესიისადმი დიფერენცირებული მიდგომა ინერგება.

რაც შეეხება ინსტრუმენტებს, რომელიც სქემის ფარგლებში ამუშავდა, ვფიქრობ, ამას მაინც საფეხურებრივი პოზიციიდან უნდა შევხედოთ. თუ მასწავლებელი პრაქტიკოსია და გამოცდის ჩაბარებას თავს არიდებს, მასთან მიმართებაში სქემა არ უნდა იყოს ლოიალური. მკაცრად უნდა დაისვას საკითხი: ან ჩააბაროს გამოცდა, ან გაიაროს 60-კრედიტიანი პროგრამა. არ შეიძლება, მასწავლებელი გერქვას და თანამედროვე სიახლეებს, მიდგომებსა და სტრატეგიებს არ ფლობდე. ამიტომაც არ ივარგებს ლოიალური დამოკიდებულება (ახლა სკოლის დირექტორის პოზიციიდან ვსაუბრობ). მოგეხსენებათ, ჩვენს ქვეყანაში ძალიან ცოტაა უფროსი მასწავლებელი, უმეტესად პრაქტიკოსები არიან. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებმაც 6 ქულა მოიპოვეს გამოცდებზე ან საერთოდ არ აპირებენ გამოცდაზე გასვლას. ეს სისტემის დიდი პრობლემაა.

რაც შეეხება სქემის ვალდებულებებთან დაკავშირებულ თითოეულ ინსტრუმენტს, გეტყვით, რომ კრიტერიუმები ძალიან ფორმალიზებულია. მოცემულია ჩარჩოები როგორ უნდა ჩაატარო სამოდელო გაკვეთილი, როგორ განახორციელო დაკვირვება, დაწერო კვლევა, რა აქტივობა განახორციელო – ყველაფერი გაწერილია და არსებობს სტანდარტები, შემუშავებულია მიდგომები. რა თქმა უნდა, კარგია, თუკი მასწავლებელი ამას გაიაზრებს და ისე განახორციელებს. სქემა დატვირთულია არასაჭირო აქტივობებით. მაგალითად, სამუშაო შეხვედრები. ეს რომ სქემაში არ იყოს გაწერილი, ისე არ შევხვდებით ერთმანეს? რა აუცილებელია ამაში 0,5 ქულა მივიღოთ, ან საკლუბო მუშაობა – ესეც თითიდან გამოწოვილი საკითხია. უნდა იყოს ფორმალური და არაფორმალური საგაკვეთილო პროცესი. ფორმალურია, სადაც „ცხვება პური", სადაც ძირითადად წყდება მოსწავლის ბედი, გაგყავს ის შედეგამდე. ასეთ საგაკვეთილო პროცესს უნდა ვუტრიალებდეთ ჩვენ და არა მზა, დაღეჭილ პროცესს, რომელიც მერე კრედიტქულით შეფასდება. არაფორმალურ სიტუაციაში ბევრ რამეს დავინახავთ როგორც კომპეტენციის, ისე სოციალურ-პიროვნული თუ ურთიერთობების თვალსაზრისითაც. ასე უნდა შევაფასოთ მასწავლებელი. ვფიქრობ, გარე დაკვირვებაც ძალიან ფორმალიზებულია. ზოგადად, საშიშროებაა სრულად არ გადავიდეთ ფორმალიზმში.

## როგორი ხელშეწყობა აქვს მასწავლებელს, თანამედროვე სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად რომ განვითარდეს

**ნათია დარჩია:** ჩვენს სკოლაში მასწავლებელს ყველანაი-

## გაიცანით მენტორი

რად უწყობენ ხელს განვითარებისთვის – სქემის ფარგლებში დაგეგმილი მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელებაში მათ კვალიფიციური ფასილიტატორები ეხმარებიან, ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ყველა საჭირო რესურსს. ძალიან მნიშვნელოვანია, პროფესიული ზრდის კუთხით, ტრენინგებზე დასწრება, მაგალითად, სკოლა ჩართული იყო აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტში (USAID-G-PriED). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული რეფერენდუმის ფარგლებში, ტარდება კონფერენციები.

პედაგოგები აქტიურად ვთანამშრომლობთ ერთმანეთთან, ვაწყობთ სამუშაო შეხვედრებს, სადაც ერთმანეთს ვუზიარებთ გამოცდილებას, ვსწავლობთ, განვიხილავთ სიახლეებს პროფესიული, მეთოდური ლიტერატურის გაცნობის კუთხით, ვახდენთ რესურსების აღრიცხვას, ვსაუბრობთ წარმატებებსა და სირთულეების დაძლევის გზებზე, პარალელური კლასის პედაგოგები ერთად ვგეგმავთ გაკვეთილებს, განვიხილავთ საინტერესო სტატიებს, ვიდეოგაკვეთილებს, რათა ობიექტურად შევაფასოთ ჩვენი ძლიერი და სუსტი მხარეები და ისე დავგეგმოთ პროფესიული საქმიანობა, რომ გაუმჯობესდეს მოსწავლეთა შედეგები. ერთად ვმუშაობთ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავებაზე. პედაგოგების გუნდური მუშაობის დამსახურებაა ის, რომ ჩვენი სკოლა დიდი პოპულარობით სარგებლობს და ყოველთვის დიდი მოთხოვნაა მოსწავლეთა ჩარიცხვაზე, რაც პედაგოგთა პროფესიული კუთხით თანამშრომლობის შედეგიცაა.

**ნატა ბიჭიკაშვილი:** მასწავლებლების საფეხურეობრივი წინსვლა შესაძლებელია. უკვე აღვნიშნე, რომ რასაც ადრეც ვაკეთებდით, ახლაც ვაკეთებთ, ოღონდ დღეს კრედიტებით გვიფასდება, უბრალოდ, ამ ყველაფერს ორგანიზება და გაფორმება სჭირდება, რაც, საკმაოდ შრომატევადია და დროს მოითხოვს.

მასწავლებლებს მეტი ინფორმაცია სჭირდება განსახორციელებელი აქტივობების შესახებ, რაშიც სკოლის და ფასილიტატორების როლი ძალიან დიდია.

**გულნაზ ხორბალაძე:** აქტივობების განსახორციელებლად მასწავლებელს აქვს ხელშეწყობა როგორც სკოლის, ისე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისგან, მაგრამ ხშირად იმდენად გადაღეჭილია ეს ყველაფერი, რომ სააზროვნოდ მას აღარაფერს ვუტოვებთ. მაგალითად, სამოდელო გაკვეთილის ჩატარება დადგმულ სპექტაკლს ემსგავსება ხოლმე. თუმცა, არ მინდა ისე გამიგოთ, რომ ეს ცუდია. ევროპაში ასე არ ხდება. ძალიან ბევრი ქვეყნის გამოცდილებას ვიცნობ, ჯიპრაიდის პროექტშიც ვიყავი ჩართული, სადაც ფორმალურ და არაფორმალურ პროცესებს თანაბარი ყურადღება ექცევა. სამოდელო გაკვეთილის გეგმას მასწავლებელს ფორმალური კრიტერიუმებით შევუფასებ, მაგრამ, როგორც სკოლის დირექტორს, აუცილებლად უნდა მომეცეს ის ბერკეტი და საშუალება, რომ მის გაკვეთილზე არაფორმალურ სიტუაციაშიც შევიდე. ფორმალური და არაფორმალური დაკვირვება ერთმანეთს უნდა ავსებდნენ. მაშინ გამოვა, რომ სკოლის დირექტორის საზრუნავი, შეამოწმოს საგაკვეთილო ხარისხი და ჩაატაროს გაკვეთილების მონიტორინგი – მთლიანად შემოვა სქემაში. ახლა იცით რა გამოდის, ცალკე სქემის ფარგლებში ვმოღვაწეობ და ცალკე უნდა შევისწავლო ყველა მასწავლებლის საგაკვეთილო პროცესი და მივცე უკუკავშირი, ანუ დირექტორს სქემისგან დამოუკიდებლად უწევს მუშაობა, როგორც საგანმანათლებლო ლიდერს. ამ თვალსაზრისით, სქემა აუცილებლად დასახვეწია, საჭიროა გასცდეს ფორმალურ ჩარჩოებს და, ფორმალურ სტანდარტიზებულ აქტივობებთან ერთად, არაფორმალური პროცესებიც გაჩნდეს.

### მენტორობამდე განვლილი გზა – რჩევა კოლეგებს, როგორ გახდნენ მენტორები

**ნათია დარჩია:** პირველ რიგში, ჩავაბარე სასერტიფიკაციო გამოცდები. ორი წლის წინ მომენიჭა წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, როგორც პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს. ორი წლის განმავლობაში განვახორციელე სხვადასხვა აქტივობები:

ვიყავი მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული პედაგოგების ფასილიტატორი. გავიარე ტრენინგი – შებრუნებული საკლასო ოთახი, ტრენინგები სქემის ფარგლებში: პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება, სამოდელო გაკვეთილების დაგეგმვა და შეფასება, ეფექტური რესურსი და მისი გამოყენება სასწავლო პროცესში.

ჩავატარე კვლევა თემაზე: „ძილის ზეგავლენა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებასა და ქცევაზე, და ამ მიმართულებით, მშობელთა ჩართულობის გაზრდის მნიშვნელობა“. მონაწილეობა მივიღე ჩვენი სკოლისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ერთობლივად ჩატარებულ პედაგოგიურ კონფერენციაში, თემაზე: „პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები“.

ვამზადებდი მოსწავლეებს ოლიმპიადებსა და კონკურსებში მონაწილეობისთვის. შევქმენი სასწავლო რესურსები, გამოვაქვეყნე სტატიები თქვენს გაზეთში, რისთვისაც გიხდით მადლობას, რადგან ძალიან დამეხმარა თქვენი კვალიფიციურობა და ოპერატიულობა. ვატარებდი სამუშაო შეხვედრებს კოლეგებთან. ჩავატარე რვა სხვადასხვა ტიპის სამოდელო გაკვეთილი, დავაგროვე 29,5 კრედიტქულა, სტატუსისთვის საკმარისი 25 კრედიტქულის ნაცვლად. ასე რომ, კოლეგებს ვურჩევ იყვნენ აქტიურები.

აქვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენი სკოლის ფასილიტატორებს, ქალბატონებს – თამარ ქუთათელაძეს, დიანა დეკანოიძეს, სკოლის დირექტორს – ქალბატონ გულნაზ ხორბალაძეს, სასწავლო ნაწილების გამგეებს – მაია ბუხრაშვილს, ციცინო მჟავანაძეს, ქალბატონებს – ნანა ადამაშვილსა და ეკატერინე ხვედელიძეს, კვლევაში ჩართულ პედაგოგებს – მარიამ პატარაიას, თინათინ ბურკაძეს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს – მათ მიერ გაწეული შრომისა და დახმარებისთვის.

**ნატა ბიჭიკაშვილი:** ახალი სქემის მიხედვით, წამყვანი პედაგოგის სტატუსი მომენიჭა (ვარ ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (დოქტორთან გაიგივებული), სერტიფიცირებული პედაგოგი ვარ 2011 წლიდან. სერტიფიცირების შემდგომ, ამოქმედდა პედაგოგთა განვითარების სქემა (ძველი სქემა). ორი წლის წინ, ძველი სქემის ფარგლებში, განხორციელდა პედაგოგთა შეფასება. გავაგზავნე შესაბამისი მასალები – შექმნილი რესურსი, ჩატარებული სამოდელო გაკვეთილის გეგმა და რეფლექსია, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში, ტრენინგების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები და მომენიჭა 10 კრედიტი. ახალი სქემის ამოქმედებიდან ორ წელიწადში, ჩავატარე 4 სამოდელო გაკვეთილი, შევქმენი სასწავლო რესურსი, განვახორციელე სკოლის საჭიროების კვლევა, გავიარე ტრენინგები, ვიყავი მომხსენებელი კონფერენციაზე. ჩემმა მოსწავლეებმა იმუშავეს სასწავლო პროექტებზე, მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე კონკურსში (დაიკავეს საპრიზო ადგილები). შედეგად, 25 კრედიტის მოგროვება შევძელი. აქ მხოლოდ იმ აქტივობების მაგალითები მოვიყვანე, რაც კრედიტებით შემიფასდა.

გარდა ამისა, მოსწავლეებმა მოამზადეს უამრავი პრეზენტაცია მათთვის საინტერესო თემებზე, ჩაატარეს ექსპერიმენტები, გვქონდა გასვლითი გაკვეთილები. უბრალოდ, მინდა აღვნიშნო, რომ მხოლოდ კრედიტების მოგროვება არ ყოფილა ჩემი მიზანი. მე ჩემი მოსწავლეებისთვის ვმუშაობ და მათთან ერთად ისეთ აქტივობებს ვგეგმავ, რომლებიც ცოდნის გაღრმავებასა და საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში დაეხმარებათ, გაზრდის მოტივაციას და სწავლების პროცესს უფრო სახალისოს და საინტერესოს გახდის. შედეგად, კრედიტქულებიც გროვდება.

**გულნაზ ხორბალაძე:** ძველი სქემის ფარგლებშიც ვმოღვაწეობდი, ახალშიც ძალიან ბევრი აქტივობა განვახორციელე – სამოდელო გაკვეთილი, სკოლის საჭიროებების კვლევა, კონფერენციები, სტატიების გამოქვეყნება, სასწავლო რესურსების შექმნა და სხვ. ჩემი გადასახედიდან სკოლის საჭიროებების კვლევას გამოვყოფ, რადგან საბოლოოდ ხომ ის გვინდა, რომ ჩვენი პროფესიონალიზმი სკოლას გამოადგეს და საერთო სასწავლო პროცესზე აისახოს ეფექტურად. ამიტომ ძალიან მომწონს სკოლის და მასწავლებლის საჭიროებების კვლევის ჩატარება. მშობელთა ჩართულობის კვლევამ საინტერესო შედეგებამდე მიგვიყვანა. მშობლები ჩავრთეთ საგაკვეთილო პროცესში, დავასწარით გაკვეთილებს და აზრიც გამოვათქმევინეთ. ვაჩვენეთ თავიანთი შვილების როგორც წარმატებული, ისე სუსტი მხარეები, ვაჩვენეთ რა უნდა გააუმჯობესოს. ეს იმიტომ გავაკეთე, რომ, როგორც წესი, მშობელს უფრო მეტად აინტერესებს ნიშანი, ვიდრე შედეგი და ნამდვილი მოტივაცია. ამ გაკვეთილების შემდეგ კი სულ სხვაგვარად მსჯელობდნენ. ბევრი კარგი რამ გაკეთდა მშობლების ჩართულობით, მათთან ერთად მოეწყო გამოფენები, სპორტული შეჯიბრებები და ა.შ.

ამიტომ კვლევა ძალიან კარგ ფორმად მესახება და ვურჩევდი კოლეგებს, რომლებიც მონდომებული არიან პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე, ჩაატარონ მსგავსი კვლევები, კარგად შეისწავლონ ის კრიტერიუმები, რაც პროფესიული განვითარებისთვის არის განსაზღვრული და შემდეგ სწორად დაგეგმონ აქტივობები, ერთმანეთს გაუზიარონ შეხედულებები. იდეების გაზიარება, კოლეგების გაკვეთილზე დასწრება და უკუკავშირი იწვევს მასწავლებლის განვითარებას.

### სტატუსით დაკისრებული პასუხისმგებლობა და სამომავლო გეგმები

**ნათია დარჩია:** ჩემი სამომავლო გეგმები, პროფესიული კუთხით, ისევ ჩემს მოსწავლეებს უკავშირდება. საჯარო სკოლაში მუშაობა ის გამოწვევაა, რომელიც საშუალებას მაძლევს, ჩვეულებრივ პირობებში, ჩემი კომპეტენციის, გამოცდილების, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის შერწყმის გზით, საჯარო სკოლის სივრცეში შევქმნა ისეთი კონკურენტუნარიანი სასწავლო-სააღმზრდელო გარემო, რომელიც თითოეულ მოსწავლეში სწავლისა და ცოდნის მიღების სურვილს აღძრავს და ამ სურვილის მაღალ დონეზე დაკმაყოფილების საშუალებას მისცემს.

მენტორის სტატუსის მონიჭება დიდი მოტივაციაა არა მხოლოდ მოქმედი მასწავლებლებისთვის, არამედ ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის, რომელთაც უჭირთ არჩევანის გაკეთება ამ პროფესიის სასარგებლოდ. ჩემი სურვილია, მასწავლებლების პროფესია ისეთი კონკურენტუნარიანი გახდეს, რომ უამრავი მსურველიდან მხოლოდ საუკეთესოები ახერხებდნენ სკოლაში მუშაობის დაწყებას.

მიუხედავად იმისა, რომ გააზრებული მაქვს დიდი პასუხისმგებლობა და პატივი, ვიყო ამ სტატუსის მფლობელი, გამიჭირდება იმაზე საუბარი, რამდენად აისახება ეს ჩემს პროფესიულ საქმიანობაზე, რადგან მე, რაკი პედაგოგის, განსაკუთრებით დაწყებითი კლასების პედაგოგის, პასუხისმგებლობა უკვე ავიღე, ყოველთვის ვიმუშავებ ისეთივე მონდომებითა და სიყვარულით, როგორც ამას აქამდე ვაკეთებდი, მაგრამ მენტორის წოდება ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ამ სტატუსის მფლობელი პედაგოგების ძალისხმევას, იყოს გამორჩეული თანამედროვე პროფესიულ გამოწვევებთან ჭიდილში, არამედ ახალგაზრდების პროფესიულ მოტივაციას, რაც სკოლების საუკეთესო კადრებით დაკომპლექტების საფუძველი გახდება, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება უფრო კონკრეტულ გეგმებს პროფესიული კუთხით, ვეცდები, კიდევ მეტად ავიმაღლო კვალიფიკაცია, შევიძინო მეტი ცოდნა, გამოვიყენო გამოცდილება, რაც, საბოლოო ჯამში, ჩემი ოცნების ახდენაში დამეხმარება.

მე კი მინდა, ყველა მოსწავლეს ჰქონდეს ჩემი ბავშვობის „ოცნების სკოლა“, სადაც მასწავლებელი არა მხოლოდ საგნის კარგი მცოდნე, არამედ გულშემატკივარი და დამხმარეა, რომელიც ცდილობს „გამოიჭიროს“ მოსწავლე ცოდნაში, მშობელს მიაწოდოს პოზიტიური ინფორმაცია მის შვილზე. სკოლა, სადაც ყველას აზრი აინტერესებთ და ითვალისწინებენ, სადაც შეიძლება გქონდეს განსხვავებული შეხედულება, სადაც არ დაგსჯიან შეცდომებისთვის, არამედ გასწავლიან მათ გამოსწორებას, სადაც გაქვს არჩევანის საშუალება, სადაც სწავლა მოსაწყენი და უინტერესო ცოდნის დაგროვება კი არა, კვლევა-ძიების პროცესია, სადაც ფიქრობენ, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია ისწავლოს და მიაღწიოს წარმატებას, სადაც აფასებენ თითოეულ შენს მიღწევას, სადაც დარწმუნებული ხარ, რომ ყველას უყვარხარ და ზრუნავს შენზე!

ჩემი სკოლის პედაგოგთა გუნდი ვქმნით ასეთ სკოლას და მე ვამაყობ ამით!

**ნატა ბიჭიკაშვილი:** პასუხისმგებლობა მართლაც ძალიან დიდია, ყოველთვის ვცდილობ, გავხდე იმაზე უკეთესი პედაგოგი, ვიდრე ვიყავი წინა წელს, მუდმივად ძიების და სწავლის პროცესში ვარ. ჩემი გეგმები, რა თქმა უნდა, ჩემს მოსწავლეებს უკავშირდება, მათი ინტერესებიდან გამომდინარე ვგეგმავ აქტივობებს. გავაკეთებ ყველაფერს, რაც ჩემს მოსწავლეებს დაეხმარება ცოდნის მიღებაში და იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებაში, რომლებიც მათ ცოდნის ცხოვრებაში ტრანსფერის საშუალებას მისცემს.

**გულნაზ ხორბალაძე:** ჩვენ საუნივერსიტეტო სკოლა ვართ, ჯავახიშვილის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის სამწლიანი მემორანდუმი გვაქვს გაფორმებული. გასულ წელს ერთობლივად ჩავატარეთ სამეცნიერო კონფერენცია – „პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების მიდგომები“, მსგავსი კონფერენციის ჩატარებას მომავალშიც ვგეგმავ, მაქსიმალურად შევუწყობ ხელს მასწავლებლების კარიერულ წინსვლას, მინდა პედაგოგებმა თავიანთი პოტენციალი გამოავლინონ. ასევე, ვაპირებთ სტუდენტებთან მუშაობასაც, უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი სტუდენტები ჩემთან გაივლიან პედაგოგიურ პრაქტიკას. ვიმუშავებ ახალბედა, დამწყებ მასწავლებლებთან და მაქსიმალურად გავუზიარებ ჩემს გამოცდილებას.

### ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება, რომელიც მასწავლებელს ბავშვებისთვის მისაღებს ხდის

**ნათია დარჩია:** ახალს ვერაფერს ვიტყვი, ნოდარ დუმბაძის არაჩვეულებრივ სიტყვებს გაგახსენებთ: *„როგორც მინიმუმ, ოთხ საიდუმლოს მაინც უნდა ფლობდეს მასწავლებელი: უსაზღვროდ უყვარდეს ბავშვები; უსაზღვროდ უყვარდეს საგანი, რომელსაც ასწავლის; ჰქონდეს უნარი – ეს სიყვარული სხვასაც შეჰყაროს, როგორც სენი უკურნებელი და იყოს უაღრესად თანამედროვე, ჰქონდეს ცოდვა-მადლის ანუ სამართლის გაჩენისა და მოთმინების დიდი უნარი. მთავარი მაინც ის არის, რომ ბავშვმა სკოლაში, როგორც სალოცავ ტაძარში, ისე იაროს – სხვანაირად ყოველი მცდელობა იმისა იყო მასწავლებელი, ფუჭია, ყალბი და უშედეგო“.*

**ნატა ბიჭიკაშვილი**: ბავშვების უდიდესი სიყვარული, პროფესიონალიზმი, გულწრფელობა და ობიექტურობა.

**გულნაზ ხორბალაძე:** სამართლიანობა ის მთავარი თვისებაა, რომელიც მასწავლებელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს და რომელსაც ყველაზე მეტად ხედავენ ბავშვები. სამართლიანობის გრძნობა იმდენად აქვთ განვითარებული მოსწავლეებს, რომ ძალიან ადვილად გრძნობენ სუბიექტურ მიდგომას. უსამართლობაზე მძაფრ რეაქციას გამოხატავენ ხოლმე, პროტესტის გრძნობა უჩნდებათ. ამიტომ ვფიქრობ, სამართლიანობაა ის მთავარი თვისება, რომელიც მოსწავლისთვის ყველაზე მიმზიდველს გხდის, თორემ საგნის სიყვარული და კომპეტენცია აუცილებელი პირობაა, იყო კარგი მასწავლებელი.

### რატომ უნდა აირჩიონ ახალგაზრდებმა მასწავლებლის პროფესია

**ნათია დარჩია**: ახალგაზრდებს საკუთარი გამოცდილებიდან მინდა ვუთხრა, მიჭირს ყოველი ოთხი წლის შემდეგ ჩემს მოსწავლეებთან განშორება, მაგრამ დასვენებებზე რომ შენთან გამორბიან, მათ სიყვარულს რომ გრძნობ, მერე ახალი მოსწავლეები რომ შეგიყვარდება, შენი შრომის შედეგს რომ ხედავ ყოველდღიურად, სულ, სულ რომ რჩები მათი თანამედროვე, ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია. იყავით მასწავლებელი და თქვენ გერგებათ ყველაზე საუკეთესო და უდიდესი ჯილდო – მოსწავლეების სიყვარული.

**ნატა ბიჭიკაშვილი:** მოსწავლეებთან მუშაობა საინტერესო და სახალისოა. ორი დღე არასდროს არ ჰგავს ერთმანეთს, ყოველთვის არის სიახლეები, ახალი გამოწვევები.

**გულნაზ ხორბალაძე:** ძველი სქემის ფარგლებში, 22-ე სკოლაში განვახორციელე აქტივობა, რომელიც მასწავლებლებისა და მოსწავლეების ურთიერთობას ეხებოდა. უფროსკლასელებს დავუსვი კითხვა: ვის სურდა მასწავლებლობა და ვინ ჩააბარებდა პედაგოგიური სპეციალობით? მოსწავლეებმა მიპასუხეს, რომ 2000 ლარადაც კი არ წავლენ სკოლაში სამუშაოდ, ყურადღებას მაინც ანაზღაურებაზე აკეთებენ. მართალია, ეს კვლევა 2013 წელს ჩავატარე, მაგრამ, სამწუხაროდ, დამოკიდებულება მას შემდეგაც არ შეცვლილა. მასწავლებლობა დაკნინებულ პროფესიად ესახებათ და ამიტომაც არ არის ახალგაზრდობისთვის მიმზიდველი. თუმცა, ნამდვილ პედაგოგიკაში მთავარი მაინც ის არის, როცა მოსწავლეს უკეთესობისკენ ცვლი და მერე ეს ყველაფერი უკან გიბრუნდება სიკეთედ და სიყვარულად, ამიტომ ვურჩევ ახალგაზრდებს, ამ კუთხითაც შეხედონ ჩვენს პროფესიას.

**მოამზადა ლალი ჯელაძემ**

ლიტერატურული კონკურსი

# შემოდგომა რაჭაში – მწიგნობარი 2017

მაკა ყიფიანი

6-8 ოქტომბერს, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გურამ ფანჯიკიძის სახელობის მთავარ ბიბლიოთეკაში, ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომა რაჭაში – მწიგნობარი 2017“ ჩატარდა. ლიტერატურული კონკურსის იდეის ავტორი და პროექტის ინიციატორი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დაქირავებული სპეციალისტი, პოეტი **გურამ გორდეზიანი** იყო. „მწგნობარი 2017“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანიზებით ჩატარდა, პროექტის მხარდამჭერები – ქალაქის მერია და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა იყვნენ. კონკურსში 11-დან 21 წლამდე მოზარდები და ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. ამავე დღეს, „მწიგნობარი 2017“-ის ფარგლებში, ამბროლაურის რაიონულ ბიბლიოთეკაში „ლიტერატურის კლუბი“ გაიხსნა.

ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომა რაჭაში – მწიგნობარი 2017“ მოიცავდა 9 ნომინაციას: ისტორიული რომანი, კლასიკოსები, პოეზია უპირველეს ყოვლისა, მე-20 საუკუნის მოთხრობა, თანამედროვე მწერლობა, პუბლიცისტიკა, საბავშვო მოთხრობა (11-დან 15- წლამდე), თავისუფალი თემა (წერითი) და ბაჩანა ბრეგვაძე და მისი მრავალმხრივი შემოქმედება.

კონკურსის ჩასატარებლად შერჩეული კომისიის მიერ დასახელდა კომპეტენტური ჟიური, რომელსაც თავმჯდომარეობდა საბიბლიოთეკო საქმის პროფესიონალი, ქალბატონი **ნინო ენუქიძე**, წევრები: ფილოლოგი **სოფო ლობჟანიძე**, ლიხეთის საჯარო სკოლა; ფილოლოგი **ხათუნა ბეშიძე**, ხოტევის სკოლის დირექტორი; **გიორგი საბანაძე**, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურული საკითხების განყოფილების გამგე; **ქეთი გზირიშვილი**, ეროვნული ბიბლიოთეკის პერიოდულ გამოცემათა დამუშავების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; **მარინა კერვალიშვილი**, გამგეობის კულტურის ცენტრის საბიბლიოთეკო სამსახურის უფროსი; **ენდი ნემსიწვერიძე**, ისტორიკოსი, მწერალი, ქუთაისის №7 საჯარო სკოლის დირექტორი.

კონკურსში გამარჯვებულებს სიგელები და საჩუქრები გადაეცათ. საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ რამდენიმე გამორჩეულ კონკურსანტს საკუთარი პრიზი გადასცა. ბაჩანა ბრეგვაძის შვილმა, ქალბატონმა ანამ 9 ნომინაციაში გამარჯვებული კონკურსანტები სუვენირებით (ჭიქები ბაჩანა ბრეგვაძის ხელნაწერით) დაასაჩუქრა. გამარჯვებულებს ფულადი პრემია და მხატვრული ლიტერატურა გადაეცათ. ნომინაციების მიხედვით შესაბამისი პრიზები გადაეცათ:

❖ **ისტორიული რომანი** – პირველი ადგილი **თამარ ჭიჭინაძემ** და **ანანო კერესელიძემ** გაიყვეს, შესაბამისად, პირველი ადგილისთვის დაწესებული ჯილდოც – 500 ლარი ორად გაიყო; III ადგილი **ნინო რატიანმა** დაიკავა;

❖ **კლასიკოსები** – I ადგილი და 500 ლარი **მარიამ ჭიჭინაძემ** მიიღო, II ადგილი **ლილე დოხნაძეს** ხვდა წილად, III – **ანა ჩაჩხუნაშვილს**;

❖ **პოეზია უპირველეს ყოვლისა** – I ადგილი და შესაბამისი პრიზი **კესო შიშინაშვილმა** მიიღო, II ადგილი **ქეთი აბუთიძემ** დაიკავა, III **თეონა ქემოკლიძეს** ხვდა წილად;



❖ **მე-20 საუკუნის მოთხრობა** – I ადგილი **ლექსო მეტრეველს** ერგო, II – **გვანცა ტოროშელიძეს**, III ადგილი კი – **სალომე რატიანს**;

❖ **თანამედროვე მწერლობა** – I ადგილი – **ნანა კერესელიძე**, II – **ქრისტინე ბაკურაძე**, III – **ქეთევან ქემოკლიძე**;

❖ **პუბლიცისტიკა** – I ადგილი – **საბა გაგოშიძე**, II – **მარიამ პაპუაშვილი**, III – **ელგუჯა თვარაძე**;

❖ **საბავშვო მოთხრობა** – I ადგილი – **ოთარ სუთიძე**, II – **მარიამ მაჩაიძე**, III – **ლანა რეხვიაშვილი**;

❖ **თავისუფალი თემა:** I ადგილი – **ნიკოლოზ მელაშვილი**, II – **მათე რეხვიაშვილი**, III – **ნინი მაისაშვილი**;

❖ **ბაჩანა ბრეგვაძე და მისი მრავალმხრივი შემოქმედება** – I ადგილი დაიკავა **მარიამ მეტონიძემ**, რომელიც დაჯილდოვდა 500-ლარიანი ფულადი ჯილდოთი და პრიზი-სტიპენდიით (ყოველთვიური) კონკურსიდან კონკურსამდე, 100 ლარის ოდენობით, რომელიც ბაჩანა ბრეგვაძის თანასოფლელმა, ბიზნესმენმა **სულხან გონაძემ** დააწესა. ამავე ნომინაციაში, II ადგილი – **ნიცა გვენცაძემ** და III ადგილი – **ანი მიქიაშვილმა** დაიკავეს.

**არჩილ ჯაფარიძე**, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული, გუბერნატორი: *„ფუძეობა რაჭაში, პირველად, 1988 წელს ჩატარდა და სახალხო დღესასწაულის ტოლფასი იყო. ეს ტრადიცია შარშან, 27 წლის შემდეგ, აღვადგინეთ, ქალაქის მერიის და სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივით.*

*რაც შეეხება კონკურსს – „მწიგნობარი 2017“, მართლაც გამორჩეული ღონისძიებაა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კონკურსი ამბროლაურის რაიონის სოფელ სხვავაში დაბადებული და აღზრდილი, მსოფლიო დონის მოღვაწის, ბაჩანა ბრეგვაძის სახელს ატარებს. ყველა რაჭველისთვის საამაყო კაცის – ბაჩანა ბრეგვაძის ცხოვრების წესი და მოღვაწეობა ყველასთვის უნდა იყოს ცნობილი. მისაბაძი პიროვნებები ჩვენს თაობებში, სწორედ ბაჩანა ბრეგვაძის მსგავსი ადამიანები არიან.*

*დღეს ყველაზე მეტად რაც სჭირდება ჩვენს საზოგადოებას, ეს წიგნიერი თაობაა, განათლებული საზოგადოება. ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ განათლების უპატივცემლობა და არქონაა. თუ გვინდა, რომ ჩვენმა სახელმწიფომ დიდ ევროპულ ოჯახში თავი დაიმკვიდროს, განსაკუთრებული ყურადღება სწორედ წიგნიერებას და წიგნის სიყვარულს უნდა მიექცეს. დამეთანხმებით ალბათ, რომ წიგნთან უშუალო კონტაქტს და მისგან მიღებულ სიამოვნებას ალტერნატივა არ აქვს. ეს ღონისძიება პოპულარიზაციას უწევს წიგნისა და განათლებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, გამორჩეული ახალგაზრდების წახალისებას. ამ კუთხით, რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთს ამოუწურავი რესურსი აქვს. ჩვენი რეგიონის ახალგაზრდები სწავლისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით გამოირჩევიან, რაზეც ეროვნული გამოცდების შედეგებიც მეტყველებს. პროექტში 200-მდე ახალგაზრდა მონაწილეობდა, რაც იმის დასტურია, რომ რაჭაში კულტურული ცხოვრება გრძელდება და უფრო და უფრო საინტერესო ხდება. იმედია, მარტო ხელისუფლებას არ დასჭირდება ძალისხმევა ამ მიმართულებით, საზოგადოება, ყველანი ერთად, ჩავერთვებით ამ პროცესებში, რომ ხელი შევუწყოთ წიგნიერების დონის ამაღლებას ჩვენს მხარეში. ადგილობრივი ხელისუფლება მუდმივად დაუჭერს მხარს მსგავს აქტივობებს. წინ უფრო საინტერესო ღონისძიებები გველოდება.“*

**გურამ ოდიშარია**, მწერალი: *„ფუძეობა მნიშვნელოვანი დღესასწაულია რაჭველებისთვის. რაც უფრო მეტი დღესასწაული იქნება საქართველოს ნებისმიერ კუთხეში, მით უკეთესია, რადგან ადამიანები უფრო ხშირად დაუბრუნდებიან თავიანთ მშობლიურ სახლს, ფუძეს და ეს იქნება დაბრუნება ისტორიასთან, წარსულთან, წინაპრების საფლავებთან... ქართველები წიგნის მოყვარული ხალხი ვართ, უძველესი წიგნები, ებრაელების შემდეგ, სწორედ ჩვენ ვთარგმნეთ. მსოფლიო გვიცნობს ჩვენი კულტურით, იმ წიგნით, რომლის მიხედვითაც ფილმი გადაიღეს, სპექტაკლით, რომელიც დადგეს, მუსიკით, მხატვრობით და ა.შ. კულტურას სჭირდება დახმარება, ხელშეწყობა და გაძლიერება. ჩემი მინისტრობის პერიოდში, ერთ-ერთი პირველი ამოვედი რაჭაში, მთის რეგიონებში და, რაც შემეძლო, დავეხმარე. პირველად კონკურსი „მწიგნობარი“ სწორედ მაშინ ჩატარდა. ყოველთვის მახსოვს ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის სიტყვები: „შეიძლება, სადღაც, რომელიღაც სოფელში დარბის ბავშვი და ის ბავშვი არის მოცარტი, მაგრამ მისი ცხოვრება ისე გავა, რომ ის ვერასოდეს ვერ ნახავს მუსიკალურ ინსტრუმენტს“.*







*სწორედ ასეთი ბავშვების აღმომჩენი კონკურსია „მწიგნობარი“. ჩემთვის დიდი პატივია ამ ღონისძიებაში მონაწილეობა, რომელიც ასე ლამაზად დაგვირგვინდა.“*

**გოჩა ენუქიძე**, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მაჟორიტარი დეპუტატი: *„ფუძეობის დღესასწაულს წინა საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. თითოეული რაჭველისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. ფუძეობა თავიდან მხოლოდ რაჭის დღესასწაული იყო, მაგრამ დღეს უკვე რეგიონი მოიცვა. რაც შეეხება ლიტერატურულ კონკურსს „შემოდგომა რაჭაში – მწიგნობარი 2017“, რომელიც ბაჩანა ბრეგვაძის სახელს ატარებს, ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ახალგაზრდებისთვის. მომავალში ჩვენი მხრიდან კიდევ უფრო დიდი მხარდაჭერა ექნება, რათა ტრადიციად დამკვიდრდეს და მასშტაბები შეიძინოს.“*

**ანა ბრეგვაძე**, ბაჩანა ბრეგვაძის შვილი: *„ბაჩანა ბრეგვაძის მშობლიური სახლი აქედან სულ ახლოსაა, შვიდიოდე კილომეტრში. დღეს, ჩვენს სოფელს – სხვავას, რაჭის სხვა სოფლებთან ერთად, დიდი სატკივარი აქვს, ეს მიგრაციაა – დაცლის პირასაა მისული სოფლები. იმედია, მომავალში ეს პრობლემა მოგვარდება.*

*კონკურსისთვის მამას სახელის მინიჭებისათვის, ოჯახის სახელით, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ლიტერატურული კონკურსის „მწიგნობარი“ იდეის ავტორსა და სულისჩამდგმელს, დაუღალავ, ენთუზიაზმით სავსე პიროვნებას, შესანიშნავ პოეტს,* ***გურამ გორდეზიანს****, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მთავრობას, მხარის გუბერნატორს –* ***არჩილ ჯაფარიძეს****. კონკურსი ჩატარდა მკითხველთა ინტელექტის ამაღლებისათვის. ინტელექტსა და ადამიანობას შორის ზღვარი არ იმიჯნება! „გამორიცხეთ ისტორიიდან კულტურა და მიიღებთ ზოოლოგიას“!!! – ვკითხულობთ ბაჩანა ბრეგვაძის „ბოლო წლების ჩანაწერებში“. ეს კონკურსიც ჩატარდა იმისთვის, რომ ზოოლოგიური სინამდვილის ნაცვლად ადამიანური, კულტურული, ინტელექტუალური სინამდვილე დავიბევოთ მომავალში. კონკურსი „მწიგნობარი 2017“ ანთებული ჩირაღდანია, რომელიც მომავალს გაანათებს, რადგან სწორად და კარგად შერჩეული ლიტერატურა და კითხვის წახალისება ადამიანის და, განსაკუთრებით, ბავშვის განათლებაა, განათლება კი სინათლეა მომავალში. ამ არაჩვეულებრივმა მკითხველმა ბავშვებმა დიდი მხარდაჭერა და სტიმული მიიღეს სულის განათლებისკენ სავალ გზაზე. მინდა, ვუსურვო მათ ძალა და მხნეობა, ჩვენი კუთხის სისავსე და წინსვლა, დაე, ეშენებინოთ რაჭის დიდი და ლამაზი მომავალი და საკუთარი სახელებით დაემშვენებინოთ ჩვენი ქვეყანა თუ მსოფლიო ასპარეზი!*

*დარწმუნებული ვარ, მომავალში ამ შესანიშნავ ბავშვებს ექ-*



## ლიტერატურული კონკურსი

ნებათ საშუალება, ესტუმრონ ბაჩანა ბრეგვაძის მშობლიურ სახლს, დაისვენონ, წაიკითხონ წიგნები, ეს სახლი იქნება მათთვის საყვარელი და ჩვეული ადგილი თავშეყრისთვის. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს სოფელს, იმისთვის, რომ დააწესა პრიზი-სტიპენდია კონკურსიდან-კონკურსამდე, ნომინაციაში „ბაჩანა ბრეგვაძის მრავალფეროვანი შემოქმედება“ გამარჯვებულისთვის (მოიპოვა **მარიამ მეტონიძემ**), დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი სოფლის წარმომადგენელს, ბატონ **სულხან გონაძეს** ამ შესანიშნავი იდეის განხორციელებისთვის.“

**თემო ჭახნაკია**, პოეტი: „ლიტერატურულ კონკურსზე ჩემმა მეგობარმა გურამ გორდეზიანმა მიმიწვია. მისი თხოვნით, ერთ-ერთი ნომინაციისთვის – „თავისუფალი თემა“ – დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა ავარჩიე“ („სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“). ბატონი გურამი პროექტის ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელი და განმახორციელებელია. იმედი მაქვს, ეს პროექტი მალე გავრცელდება საქართველოს მასშტაბით, რაც ხელს შეუწყობს წიგნიერი მოსწავლე ახალგაზრდობის სიმრავლეს.

კონკურსზე ბევრი შემოქმედი ადამიანი იყო მოწვეული, მათ შორის ჩემი მეგობარი პოეტი და პროზაიკოსი **ენდი ნემსიწვერიძე** (ჟიურის წევრი), მთარგმნელი **გიორგი ხულორდავა** და მომავალი ფილოლოგი **დათა ბესელია**.

შეღამებისას, „ფუძეობის“ ზეიმის პარალელურად, სპეციალურად მოწყობილ სცენაზე, გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. ვინც იქ იყო, ყველა დამეთანხმება, როგორი ომახიანი ხმით მიმართა დამსწრე საზოგადოებას პოეტმა ენდი ნემსიწვერიძემ, რომელსაც მსმენელები მქუხარე ტაშით შეხვდნენ. შემდეგ მეც დავძლიე მორიდების გრძნობა და, გამოძახებისთანავე, ავედი სცენაზე ნომინაცია „თავისუფალი თემის“ სამი გამარჯვებულისთვის დიპლომების გადასაცემად.“

**ენდი ნემსიწვერიძე**, პოეტი: „რაჭა საქართველოს ულამაზესი მხარეა, მისი სილამაზე ყველაზე უფრო 90-იანი წლების დასაწყისში აღვიქვი, როცა მიწისძვრით გამოწვეული მძიმე დღეები იდგა და ქუთაისიდან არაერთხელ მომიწია, სამთავრობო დელეგაციასთან ერთად, ვერტმფრენით ვწვეოდი. თითქოს უზარმაზარი ნახატი იდო ჩემ წინ, არამიწიერი მხატვრის ხელით დახატული. გამაოცეს რაჭველებმა, მიუხედავად იმისა, რომ განსაცდელი ედგათ, ისე გვმასპინძლობდნენ თითქოს დასახმარებლად და სანუგეშოდ ჩასულ ადამიანებს კი არა, მოწვეულ სტუმრებს ელოდნენ. ცალკე ფენომენია რაჭის ინტელიგენცია, ფაქიზი სულით და ღრმა ინტელექტით. ყველა რაჭველი დაჯილდოებულია უფლისგან ორატორული ნიჭითა და იუმორის დიდი გრძნობით.

გზა რაჭის პატარა სოფელ სხვავადან მთაწმინდამდე... შეგნებულად არ ჩამოვთვლი სახელებითა და გვარებით რაჭის ინტელიგენციის კორიფეებს, თითქმის არ არსებობს სფერო, ერთი ცნობილი რაჭველი მაინც არ შეხიდებოდეს ქართულ სინამდვილეს. მაგრამ ბაჩანა ბრეგვაძე განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენი ქვეყნისათვის, ადამიანი რომელიც თითქოს ფეხაკრეფით დადიოდა ამ მადლიან მიწაზე და დაჰქონდა აუწონელი შემეცნებითი სიმძიმე. მე ამაყი ვარ ჩემი ერის შინაგანი ნაციონალური ინსტინქტით, რომელსაც ბატონი ბაჩანას გარდაცვალებისთანავე, ერთიანი ეროვნული მუხტით აღმოხდა, მისი სამარადისო სარეცელი მთაწმინდა ყოფილიყო. ხმა ღვთისა და ხმა ერისა.

ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსის „მწიგნობარი“ იდეა რაჭველ პოეტს, გურამ გორდეზიანს ეკუთვნის, გურამი მრავალმხრივ საინტერესო კაცია, არცთუ დალხინებული წარსულით, მაგრამ მარად გამოუსწორებელი ოპტიმისტური განწყობით. ის მშვენიერი პოეტია, არა მხოლოდ შემოქმედებით, არამედ წინამძღოლისა და ლიდერის თვისებებით. მხიბლავს მხარისა და რაიონის ხელმძღვანელთა ერთიანობა ამ იდეისა და, ზოგადად, საგანმანათლებლო საკითხებში. ან არსად, ან იშვიათად მინახავს მოსწავლეებზე და განათლებაზე ასე მზრუნველი ადგილობრივი თვითმმართველობა. მხარის გუბერნატორი **არჩილ ჯაფარიძე**, ამბროლაურის გამგებელი **მალხაზ ლომთაძე**, პარლამენტარი **გოჩა ენუქიძე**, სამხარეო სამსახურისა და გამგეობის ყველა თანამშრომელი, მასწავლებლები და, რაც მთავარია, რაიონული ბიბლიოთეკა – ერთიანი ძალისხმევით ზრუნავენ მომავალი თაობის წიგნიერებისათვის. „მწიგნობარიც“ ამის ყველაზე დიდი გამოვლენაა. 200-მდე მოსწავლე მონაწილეობდა კონკურსში, წამახალისებელი ჯილდოებიც მომხიბვლელი იყო. საკონკურსო ტესტები საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შეიმუშავა. ჟიურიშიც ჰყავდა თავისი წარმომადგენლობა. კონკურსი სრული ობიექტურობით ჩატარდა და გამარჯვებულებიც გამოვლინდა. თუმცა, ეს ყველაფერი პირობითია, რადგან ამ სახის კონკურსში დამარცხებული არავინაა. ყველა იქ მყოფი სტუმარი: პოეტები, ლიტერატორები თუ ოფიციალური პირები (**ბადრი სულაძე, თემო ჭახნაკია, დათა ბესელია, გიორგი ხულორდავა, გურამ ოდიშარია, გიორგი საბანაძე** და სხვ.) ერთხმად აღიარებდნენ, რომ მოსწავლეებმა გასაოცარი ცოდნა გამოავლინეს, გაეცნენ არა მხოლოდ ბაჩანა ბრეგვაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, არამედ პოეზიის, პროზის უამრავ შედევრს, დაამუშავეს მხატვრული და ისტორიული ლიტერატურა, წიგნი არ დარჩენილა ბიბლიოთეკების თაროებზე. ენით ვერ აღვწერ კმაყოფილებას. მადლობა ამ კონკურსის ყველა მონაწილეს და განსაკუთრებით იდეის ავტორსა და ორგანიზატორებს. კარგი იქნება, თუ მსგავსი კონკურსი საქართველოს მასშტაბით ჩატარდება, ეს ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი გზაა, ახალგაზრდობა ინტერნეტ სივრციდან წიგნს დაუბრუნდეს, ხოლო წიგნიერება ერთადერთია, საქართველოს ხსნა რომ შეუძლია.

თავიდანვე ვთქვი, მაგრამ ალბათ მეტად ხაზგასასმელია რაჭველთა გულანთებული დამოკიდებულება სტუმრებისადმი. კონკურსის მიმდინარეობა ფუძეობის დღესასწაულს დაემთხვა და უამრავი სტუმარი იყო ამბროლაურში. ჩვენც ვისიამოვნეთ სიმფონიური ორკესტრის, **ნიკოლოზ რაჭველის, ლექსო თორაძისა** და **ნინო ქათამაძის** მიერ ნაჩუქარი უბედნიერესი წუთებით, როგორც სახელდახელოდ მოწყობილი სცენიდან, ასევე ბარაქიანი რაჭული სუფრიდანაც, ბევრი სხვა ცნობილი ადამიანის გაცნობითა და ურთიერთობით. მადლობა რაჭას, გაუმარჯოს რაჭველებს, მრავალჟამიერ!“

**გურამ გორდეზიანი**, პოეტი, ლიტერატურული კონკურსის ორგანიზატორი: „ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომა რაჭაში – მწიგნობარი 2017“ წარმატებით შედგა. ის მომავლის პროექტია! სიმართლე გითხრათ, სულაც არ ვაპირებდი ამ თემაზე საუბარს, რადგანაც ჩემი მეგობრების მხრიდან საკმარისად ითქვა, მაგრამ სიხარულისა და შეულევლობის განცდა იმდენად ძლიერია, გადავწყვიტე ჩემი სათქმელი ვთქვა...

სასიხარულოა, რომ ყველა ერთხმად აღიარებს, ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომა რაჭაში – მწიგნობარი 2017“ წარმატებით შედგა და ის მომავლის პროექტია, რაც უდავოდ დიდი დამსახურებაა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის, სოციალური სამსახურის მუშაკთა თავაუღებელი შრომის, რასაც თან სდევდა ამბროლაურის გურამ ფანჯიკიძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკის, საბავშვო ბიბლიოთეკისა და ამბროლაურის თემის საბიბლიოთეკო სფეროს კვალიფიციური თანამშრომლების უზომო შრომა და საკუთარი საქმისადმი უანგარო სიყვარული. ამ ყველაფერს კი ნდობა გამოუცხადა ამბროლაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და საჯარო სკოლების დირექტორთა და პედაგოგთა, პროექტის მიმართ, მაღალი მხარდაჭერის ხარისხმა. პროექტის საბოლოო წარმატება გარდაუვალი გახადა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გაღებულმა წვლილმა, რაც ამბროლაურის გამგეობასთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით კიდევ უფრო გამყარდა, ასახვა კი ჰპოვა შედგენილი ტესტების უნაკლო ხარისხში, რამაც მთავარი როლი ითამაშა გამარჯვებული ახალგაზრდების გამოვლენაში. თუმცა, ამ პროექტს დამარცხებულები არ ჰყავს!





განსაკუთრებულად სასიხარულოა ის, რომ პროექტს ცნობილი მთარგმნელის, მწერლისა და ფილოსოფოსის – ბაჩანა ბრეგვაძის სახელი მიენიჭა. სწორედ ეს სახელი და გვარი იქნება მისი მეგზური საქართველოს მასშტაბით... პროექტის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება გამოხატა მაჟორიტარმა დეპუტატმა რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მხარეში, ბატონმა გოჩა ენუქიძემ. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მხარის გუბერნატორს არჩილ ჯაფარიძეს მხარდაჭერისა და თანადგომისათვის.

ვულოცავ კონკურსის მონაწილეებს ბრწყინვალე წარმატებას! მუნიციპალიტეტის გამგეობამ გამარჯვებულებს შესაბამისი პრიზები გადასცა. ჟიურის სიმპატიის 4 პრიზი ეროვნულმა ბიბლიოთეკამ დააწესა. გაზეთმა „ახალი განათლება“ ნომინანტებს საჩუქრად წიგნები გადასცა, „მწიგნობარს“ საინფორმაციო მხარდაჭერა გამოუცხადეს „რადიო თავისუფლებამ“ და „საქართველოს რადიომ“.

გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი „ფუძეობას“ დაემთხვა, რომელსაც ორგანიზება **ქრისტინა კობახიძემ** გაუწია. ბედნიერი ვარ, რომ კიდევ ერთხელ მომეცა საშუალება, მომესმინა ლექსო თორაძის, ნიკოლოზ რაჭველისა და ნინო ქათამაძისათვის, ამ ფონზე კი, გავცნობოდი საპატიო ამბროლაურელთა ვინაობას.

კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურულ კონკურსს მომავლის პროექტად მიიჩნევს!“

## ინფორმაცია

# განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება იზრდება

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტებმა განიხილეს საქართველოს კანონპროექტი „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“. ფინანსთა მინისტრის მოადგილის, **გიორგი კაკაურიძის** განმარტებით, კანონპროექტი განსაზღვრავს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირველადი ვერსიის მიხედვით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება იზრდება 62.6 მლნ. ლარით და გათვალისწინებულია 1 178.8 მლნ. ლარამდე.

ზოგადი განათლების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 681.1 მლნ. ლარამდე, მათ შორის:

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება – 598.9 მლნ. ლარი;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა – 11.9 მლნ. ლარამდე;
- უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა – 12.8 მლნ. ლარზე მეტი;
- მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა 23.0 მლნ. ლარამდე;
- საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა 22.1 მლნ. ლარი.

ბიუჯეტის პროექტში, პროფესიული განათლების დასაფინანსებლად, გათვალისწინებულია 38.0 მლნ. ლარი; უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამების დასაფინანსებლად – 135.1 მლნ. ლარზე მეტი; მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა – 62.6 მლნ. ლარი; საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის – 97.2 მლნ. ლარზე მეტი; დონორების დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მიიმართება (მათ შორის ათასწლეულის გამოწვევა – საქართველოს გრანტი) 116.8 მლნ. ლარამდე.

ბიუჯეტის პროექტში კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 116.5 მლნ. ლარი, მათ შორის, ფრანქფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე საქართველოს წარდგენის ღონისძიების დასაფინანსებლად – 16.5 მლნ ლარამდეა განსაზღვრული.

სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის, ბიუჯეტის პროექტში, გამოყოფილია 165.7 მლნ. ლარამდე. სპორტული ინფრასტრუქტურის, რეაბილიტაციისა და ინვენტარის განახლებისთვის გათვალისწინებულია 26.5 მლნ. ლარი, მათ შორის, თბილისში ჭიდაობის სახლის მშენებლობა. 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ჩატარებისთვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად 25 მლნ. ლარია განსაზღვრული.

კომიტეტის თავმჯდომარის, **მარიამ ჯაშის** განცხადებით, 2018 წლის ბიუჯეტი საშუალებას იძლევა, კიდევ უფრო გაიზარდოს დაფინანსება როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემების. *„განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის, რომ პირველად ჩნდება თანადაფინანსების შესაძლებლობა კერძო კოლეჯებში ვაუჩერული დაფინანსების მისაღებად. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რათა ჯანსაღი კონკურენცია შეიქმნას საჯარო და კერძო კოლეჯებს შორის, ბუნებრივია, ხარისხის გარანტიებით,“* – განაცხადა მარიამ ჯაშმა. მისი ინფორმაციით, 2018 წელს, დაიწყება შინაარსობრივად განსხვავებული, ახალი სახელმძღვანელოების ბეჭდვა პირველიდან მეექვსე კლასის მოსწავლეებისთვის და 2018 წლის სექტემბრიდან ბავშვები თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი სახელმძღვანელოებით ისწავლიან: *„მადლობა მინდა გადავუხადო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომ გრიფირების პროცესი რადიკალურად შეცვლილი იყო, გამოიყო შინაარსობრივი ნაწილი ბეჭდვის ნაწილისგან, რადგან სწორედ შინაარსზე უნდა გაკეთდეს ყველაზე დიდი აქცენტი“.*



თვალსაზრისი

# სკოლებში ფიზიკის სწავლების შესახებ

## სკოლებში ფიზიკის სწავლების სქემის მოკლე ანალიზი

ბოლო წლებში, ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში, ფიზიკის ცოდნის დონე მკვეთრად დაეცა. მიზეზი არა ერთია. შევეხებით მხოლოდ რამდენიმეს (ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში):

ა) ფიზიკის სწავლების საათები კლასებში შეიკვეცა, რაც მძიმედ აისახა უმეტესი მოსწავლეების ცოდნაზე.

ბ) ფიზიკა იწყება მე-7 კლასში და ისწავლება ერთი სემესტრის მხოლოდ ნაწილში. გათვალისწინებული საათები აუცილებლად უნდა გადანაწილდეს მთელ სასწავლო წელზე, ანუ კვირაში ერთი საათი. ეს სრულიად არასაკმარისია ფიზიკის სწავლებისათვის. პრაქტიკულად ეს ნიშნავს პროგრამის ნაჩქარევად გავლას, ტექსტებისა და ამოცანების მნიშვნელოვნად შეკვეცას – ფაქტობრივად, ფიზიკას ამოცანების გარეშე! რაც შემდგომში „მძიმედ“ იჩენს თავს.

გ) პროგრამულად, საკითხების მიხედვით, ნახტომისებურად ხდება გადასვლა მე-7 კლასიდან მე-8 კლასში.



სურ.1

გრაფიკიდან ჩანს, რომ საკითხებით დატვირთვა მე-7-დან მე-8-ში გადასვლისას იზრდება, დაახლოებით, 3-ჯერ. შესაბამისად, ამდენჯერვე იზრდება ტესტებისა და ამოცანების რაოდენობა, მე-8 კლასში 2 აკადემიური საათის დროს?!

ნახტომისებურად გაზრდილ დატვირთვას მოსწავლეების უმეტესობა ვერ ძლევს. ეს მაშინ, როცა მოყვანილი გრაფიკებიდან ჩანს, რომ CAT-ის გამოცდისათვის საკითხების ძირითადი დატვირთვა ფიზიკაში სწორედ VIII-IX კლასებზე მოდის.



სურ.2

დ) შეფასების კრიტერიუმი:

1. „ტრადიციული, მასწავლებლის“ შეფასება – უმეტეს შემთხვევაში, ნიშანი იწერება გაკვეთილზე მოყოლილი ტექსტის მიხედვით; მასში მცირეა ამოცანისა და ტესტის წილი. ამიტომ გვაქვს, ძირითადად, შემდეგი სქემა:

**ნიშანი** (მასწავლ.) = **მოყოლა** > ამოცანა + ტესტი.

ასევე, საკონტროლო ნამუშევარში ხშირად ნიშანი, ან ნიშნის რაღაც ნაწილი, იწერება არა მარტო ამოხსნილ ამოცანაში, არამედ ნახევრად ამოხსნილ ამოცანაში, ან მარტო მოცემულობის ჩაწერაშიც კი. ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომაა დამკვიდრებული უმეტესი სკოლების ადმინისტრაციებში, მასწავლებლებში, მოსწავლეებსა და მშობლებში.

2. „კომპიუტერის“ შეფასება – კომპიუტერულმა გამოცდამ მკვეთრად შეცვალა შეფასების კრიტერიუმი: კომპიუტერმა მოყოლა პრაქტიკულად ამოაგდო! კომპიუტერი მხოლოდ ამოცანისა და ტესტის სწორ პასუხს აფასებს მოცემული ოთხი პასუხიდან სწორად ამორჩევის ან სწორად „გარტყმის“ მიხედვით. რამდენად ეს კარგია და სწორი, ეს სულ სხვა, დამოუკიდებელი საკითხია, მაგრამ, ფაქტია, რეალურად გვაქვს სქემა:

**ნიშანი** (კომპიუტ.) = **ამოცანა + ტესტი**.

კომპიუტერი მოითხოვს სრულ, სწორ პასუხს და ელემენტარულ შეცდომას არ ღებულობს.

*მაგალითისათვის: კარგმა მოსწავლემ რთული ამოცანა ამოხსნა სწორად, მაგრამ ბოლოში დაწერა:* $4^2 = 8$.

*მკაცრი მასწავლებელი დააკლებს ნიშანს, დაუწერს 9,8 ან 7 ქულას; ხოლო კომპიუტერი წერს 0 ქულას!*

ვფიქრობთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძალიან „მძიმედ იჩენს“ თავს:

1. ამოხსნილი ამოცანებისა და ტესტების მცირე რაოდენობა;
2. „გარტყმის“ იმედზე ყოფნა;
3. „ტრადიციული“ საკონტროლოები და გამოკითხვა, და არა „კომპიუტერული“ სქემის ამუშავება და „კომპიუტერული“ შეფასება.

*ჩვენი აზრით, და არა მარტო ჩვენი აზრით, გამოსაშვებ „კომპიუტერულ“ შეფასებას ნიშნების წერის სამი პირობითი „დიაპაზონი“ აქვს:*

*1. დაბალი ნიშნების არე, სადაც შედარებით ადვილად იწერება ქულები (≈ 5,5 ÷6,3 ქულა); სწორედ ამის ხარჯზე ხდება „გაძრომა“ სუსტი და უცოდინარი მოსწავლეებისა და სკოლებში მოსწავლეების დიდი ნაწილი ამ ქულებს ღებულობს, თუმცა ჩაჭრილთა რაოდენობა მაინც ყველაზე დიდია ფიზიკაში;*

*2. საშუალო ნიშნების არე (≈ 6,5 ÷ 8,5 ქულა), სადაც ხვდებიან საშუალო და კარგი (8, 9 და 10 ქულიანი) მოსწავლეები და მათი რაოდენობა მცირეა პირველ დიაპაზონთან შედარებით;*

*3. მაღალი ნიშნების არე (≈ 9 ÷ 10 ქულა), სადაც ქულები შედარებით მკაცრად იწერება, და რომელშიც მოსწავლეების რაოდენობა, სამწუხაროდ, მეტად მცირეა; ანუ ვღებულობთ შეფასების არაწრფივ ფუნქციას – სურ.3, რომელსაც კვლავ დავუბრუნდებით.*

## ჩვენი დაკვირვება და პირველადი შედეგები

ბოლო წლებში, IX კლასებში ტარდება CAT-ის „საცდელი“ გამოცდები კომპიუტერზე (≈ 400-500 სკოლაში). რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სკოლების უმეტესობაში „ჩაჭრილი“ მოსწავლეების რაოდენობა 60%-ზე მეტია.



სურ.3

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გარდა, ამის ერთ-ერთ მიზეზად მიგვაჩნია ის, რომ მოსწავლეები დაბალი კლასებიდან მიჩვეულნი არიან საკონტროლო წერის, გამოკითხვისა და შეფასების „ტრადიციულ“ სქემას. კომპიუტერზე გამოცდის ჩატარებისას ხვდებიან სულ სხვა გარემოში, მათთვის უცნობ პირობებში. მოსწავლეების დიდი უმეტესობა, უცხო სიტუაციაში მყოფი, ღებულობს საკმაოდ დაბალ შეფასებას, ანუ ვერ ამჟღავნებენ იმ ცოდნასაც კი, რომელიც აქვთ.

ამ მოსაზრების შესამოწმებლად, ჩვენ მიერ შედგენილი პროგრამის მიხედვით, კომპიუტერში იტვირთებოდა მოსწავლეებისათვის კარგად ცნობილი სახელმძღვანელოებიდან, ამოცანათა კრებულიდან აღებული და დამუშავებული მასალა, რომელიც მიცემული ჰქონდათ საშინაო დავალებად; გაკვეთილებზე დეტალურად გარჩეული – დაფაზე რამდენჯერმე გამოყვანილი სხვადასხვა სიძლიერის მოწაფეების მიერ; დამატებით წრეზე კვლავ განხილული, და ამის შემდეგ საკონტროლოდ დაწერილი. ამ „გადაღეჭილ“ მასალაზე, კომპიუტერის გამოცდაზე მიღებული იქნა მეტად არადამაკმაყოფილებელი შედეგი: სურ.4-ზე წარმოდგენილი გრაფიკიდან მკაფიოდ ჩანს, თუ რამდენად დაბალ შედეგს აჩვენებენ მაღალქულიანი მოსწავლეები კომპიუტერზე საკონტროლოს წერისას „გადაღეჭილი“ მასალის დროს. ცხადია, ეს რთული და მრავალმხრივი ფაქტორითაა გამოწვეული.

ჩვენ შევეხებით ერთ-ერთს:

კომპიუტერულ გამოცდაზე, მოსწავლეთა ჩაჭრის მიზეზი მარტო „არცოდნა“ არაა. მიზეზთა შორის, გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური განწყობა, გამოცდის წარმატებით ჩაბარების ტექნოლოგიური ცოდნა, კონცენტრაცია და შიშის დაძლევის უნარი; ჩვეულებრივად მოსწავლეები მიჩვეულები არიან საკონტროლო წერას, რომლის საკითხები წინასწარ იციან. კლასში წერის დროს ჟესტებითა და მინიშნებებით ახერხებენ, ან ყოველ შემთხვევაში იმედი აქვთ, რომ მოახერხებენ გადაწერას. მოსწავლეს შეუძლია გადავიდეს ერთი საკითხიდან მეორეზე – ირჩევს რომელიც იცის, წერს; შემდეგ ეძებს მისთვის ამოხსნადს, ბოლოს უბრუნდება „ძნელს“ – ანუ რომელიც არ იცის. ე.ი. დროით არ არის შემოზღუდული, ანუ დროის ფაქტორი მას არ აწუხებს. გარდა ამისა, იცის, რომ არადადებითი ნიშნის შემთხვევაში გამოსწორების საშუალება მიეცემა. ამ მიზეზთა გათვალისწინებით, მოსწავლეები ნაკლებად სტრესულ გარემოში არიან საკონტროლოს დროს.

რაც შეეხება კომპიუტერს, აქ სტრესი ბევრად დიდია – პირველ რიგში, დროის ფაქტორი: ეკრანზე გამოსული ტესტი ან ამოცანა მოსწავლემ უნდა ამოხსნას მოცემულ, ფიქსირებულ დროში; მოსწავლეები ჩქარობენ, რადგან იციან, რომ გარკვეული დროის შემდეგ კომპიუტერი ავტომატურად გადადის ახალ შეკითხვაზე. არ არსებობს ადამიანური ფაქტორი – ჟესტების ენა, მინიშნება. იციან, რომ „ჩაჭრის“ შემთხვევაში არ შეუძლიათ ნიშნის გამოსწორება. ეს მოთხოვნები კი მოსწავლისათვის უცნობია, მიუჩვეველია და ამდენად საკმაოდ მძიმე. ამ ფაქტორების გათვალისწინებით საუკეთესო მოსწავლეებიც კი შეიძლება სტრესისა და დაძაბულობის გამო დაიბნენ და ამან გამოიწვიოს არაადეკვატური შეფასება.

ამას აჩვენებს ჩვენი დაკვირვებით მიღებული გრაფიკი:



სურ.4

მე-8 კლასის 8, 9 და 10-ქულიანი მოსწავლეების უმეტესობამ ვერ გადალახა 5,5-ქულიანი ზღვარი. შედეგი ანალოგიურია სურ.3-ის გრაფიკის: ორივე შემთხვევაში კომპიუტერის ნიშნები იმყოფება $45^0$-იანი წრფის ქვემოთ – $45^0$-იანი წრფე შეესაბამება თანხვედრას სკოლის ქულებსა და კომპიუტერის ქულებს შორის, რაც უნდა იყოს. თუ გრაფიკი, სურ.3 (მე-11 კლასი), კომპიუტერში „უცნობ“ მასალას შეესაბამება, სურ.4 (მე-8 კლასი) გრაფიკის მიხედვით ანალოგიური შედეგი მიიღება „გადაღეჭილი“ მასალის დროს. სურ.4-ზე ასევე წარმოდგენილია მე-9 კლასის მოსწავლეების, კომპიუტერული გამოცდის შედეგები, წლის ბოლოს, რომლებმაც გაიარეს მომზადება ჩვენი შედგენილი პროგრამის მიხედვით. მოყვანილი სურ.4-დან ჩანს, რომ შედეგები მკაფიოდ გაუმჯობესდა და 5,5-ქულიანი ზღვარი უმეტესობის მიერ გადალახული იქნა, თუმცა $45^0$-იანი წრფის ქვემოთ დარჩნენ. მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ მე-8 კლასში განხილული მოსწავლეების ≈ 79% ჩაიჭრა – უმძიმესი შედეგია; ხოლო მე-9 კლასელებისათვის ჩაჭრა ≈ 17%-ია.

შედეგები შეგვიძლია შევაფასოთ „ჩაჭრის“ მიხედვით:

$$79\% : 17\% = 4,6$$

გამოითქვა მოსაზრება, რომ მე-9 კლასში „ტრადიციული“ სქემით შეიძლება მივიღოთ იგივე შედეგი ამოცანებზე და ტესტებზე ინტენსიური მუშაობის შემთხვევაში.

მოვიყვანთ ერთ კონკრეტულ მაგალითს (შეიძლება სუბიექტურს): მე-9 კლასმა, რომელთანაც საკმაოდ კარგი ფიზიკის მასწავლებელი ინტენსიურად მუშაობდა ამოცანებსა და ტესტებზე „ტრადიციული“ სქემით, ანუ კომპიუტერის გარეშე, CAT-ის გამოცდაზე აჩვენა „ჩაჭრის“ შედეგი 62% (ჩვენსავით მაღალი ჩაჭრის პროცენტი მე-8 კლასელებისათვის). დაახლოებით იმავე ინტენსივობის მუშაობისას, ოღონდ კომპიუტერის სასწავლო პროცესში ჩართვით, ჩვენი „ჩაჭრის“ შედეგია მე-9 კლასელებისათვის, როგორც აღვნიშნეთ ≈ 17%.

ვფიქრობთ, შედეგი თვალსაჩინოა. თუმცა, კარგად გვესმის, რომ კანონზომიერების დაყვანა არ შეიძლება ცალკეულ შემთხვევაზე (თანაც მცირე სტატისტიკის დროს), ამიტომ ჩვენ მიერ მიღებული აქ მოყვანილი შედეგები მიგვაჩნია, როგორც პირველადი შედეგები და არა საბოლოო.

შეგვიძლია დავასკვნათ:

ცოდნის გარდა (ძირითადი და აუცილებელი მოთხოვნა), კომპიუტერული დატვირთვა უნდა იყოს ჩართული არა მხოლოდ წლის ბოლოს, არამედ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, მე-7 კლასიდან დაწყებული მე-11 კლასის ჩათვლით! და ეს სრულიად რეალურია! მოსწავლეს სჭირდება კომპიუტერთან მუშაობა რეგულარულად, რათა გამოუმუშავდეს კომპიუტერთან საგამოცდო ურთიერთობის უნარები.

## კომპიუტერული პროგრამის შესახებ

ჩვენ შევიმუშავეთ კომპიუტერული პროგრამა სწავლის პროცესში კომპიუტერული დატვირთვის ჩართვისათვის. პროგრამა მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა CAT-ის პროგრამას, რომელიც ჩვენი ზოგადი დასკვნით, მხოლოდ „შეფასებადია“; ხოლო ჩვენი პროგრამა, განსაკუთრებით ამოცანების ნაწილში, უფრო „სასწავლოა“.

ქვემოთ მოგვყავს ჩამონათვალი, რომლითაც ჩვენი კომპიუტერული პროგრამა განსხვავდება არა მარტო CAT-ის პროგრამისაგან, არამედ ინტერნეტსივრცეში გავრცელებული სხვადასხვა „სტანდარტული“ პროგრამებისაგან:

1. რეჟიმი: საკონტროლო წერა.

წლიური შემაჯამებელი ამოცანებისა და ტესტების ჩატვირთვის გარდა, მასწავლებლის მიერ იტვირთება სწავლის პროცესში მყოფი საკითხებით შედგენილი საკონტროლო წერა, რომელშიც მის მიერ განისაზღვრება საკითხების, ამოცანების რაოდენობა, დროის ხანგრძლივობა, შესაბამისი ქულები.

2. რეჟიმი: გადასაყვანი წერა. *მაგ: მე-9 კლასი – მთლიანად გავლილი მასალა.*

3. რეჟიმი-CAT: შემაჯამებელი წერა. *მაგ: მე-9 კლასი – მე-7, მე-8 და მე-9 კლასებში მთლიანად გავლილი მასალა.*

4. რეჟიმი-აბიტური: შემაჯამებელი წერა. *მაგ: მე-9 კლასი – მე-7, მე-8 და მე-9 კლასებში მთლიანად გავლილი მასალა ან გამომცდელის მიერ შერჩეული საკითხები.*

5. საკონტროლო წერის „შერეული'' ვარიანტების მომზადება ერთი საბაზო მასალის მიხედვით, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს გადაწერისა და კარნახის შესაძლებლობას.

6. ამოცანისათვის არაა მოცემული ოთხი გამზადებული პასუხი, მოსწავლემ უნდა აირჩიოს მოცემული ფიზიკური სიდიდის განზომილება ოთხი პასუხიდან და ამოხსნით მიღებული პასუხის რიცხობრივი მნიშვნელობა შეიყვანოს კომპიუტერში. სრულიად არასწორია ამოცანების „მზამზარეული'' ოთხი პასუხის მოცემა. ეს იწვევს „გარტყმის'' იმედზე ყოფნას და სწავლის პროცესში ამოცანებისადმი ზერელე დამოკიდებულებას.

7. საკონტროლო, გადასაყვანი, შემაჯამებელი წერების შედეგების გამოტანა და ამობეჭდვა. ეს საშუალებას იძლევა, მოსწავლემ, მასწავლებელთან ერთად, გააანალიზოს ნაწერი და შეავსოს ხარვეზები ცოდნაში.

8. პროგრამას აქვს ტესტებისა და ამოცანების სირთულის მიხედვით განსაზღვრული სამი რეჟიმი: ა) მარტივი; ბ) საშუალო; გ) რთული.

აღნიშნული რეჟიმები საშუალებას იძლევა, მოსწავლემ თანდათანობით, თანამიმდევრულად გაიაროს სირთულის მიხედვით ტესტები და ამოცანები, და მისი შესაძლებლობიდან გამომდინარე, გადავიდეს დაბალი საფეხურიდან უფრო მაღალ საფეხურზე.

ლაზარე ბერძენიშვილი
*ფიზიკოსი, აკ. დოქტორი,*
ზურაბ მოსეშვილი
*ფიზიკოსი, პროგრამისტი*

დუტუ მეგრელი – 150

# პატარა ქართველების საყვარელი ლექსი

მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები, პატრიოტულ თემაზე დაწერილი ლექსი თუ პროზაული ნაწარმოები გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მოზარდის გონებასა და გრძნობაზე. დაწყებითი განათლების სასკოლო ასაკის ბავშვის მეხსიერებაში დიდხანს რჩება ისეთი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც აღვივებს მასში სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობას. ქართველთა მრავალ თაობას კარგად ახსოვს ბავშვობაში ნასწავლი ლექსი „პატარა ქართველი“, მისი ავტორი დუტუ მეგრელია (დიმიტრი ხოშტარია). პატრიოტულ თემაზე შექმნილი ეს ლექსი ავტორმა პირველად გამოაქვეყნა ჟურნალ „ჯეჯილში“ 1901 წელს (№10). მოგვიანებით ლექსი გამოქვეყნდა დუტუ მეგრელის თხზულებათა პირველ ტომში, 1909 წელს და იმთავითვე ყურადღება მიიპყრო, როგორც პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ქმნილებამ. ლექსმა ადვილად შეაღწია პატარა ქართველების სულიერ სამყაროში; ხოლო მისი ავტორი წარმოაჩინა, როგორც ეროვნულ-სარწმუნეობრივი იდეების შეუპოვარი დამცველი, რომელიც მხატვრული სიტყვით იბრძოდა მამულისა და სარწმუნოების დასაცავად. ლექსი „პატარა ქართველი“ მაშინდელი და მომდევნო თაობებისათვის პოპულარული გახდა, უპირატესად, პირველი სტრიქონით „მე პატარა ქართველი ვარ“. ლექსი იკითხებოდა ყველა ქართველის ოჯახში, იგი ზეპირად იცოდა დიდმა, პატარამ; იგი სიმღერად იქცა, მღეროდნენ მოსწავლეები, დები ჯაფარიძეები. საუკუნეზე მეტმა განვლო ლექსის გამოქვეყნებიდან და არ წაშლილა ქართველთა თაობების მეხსიერებიდან. ლექსი იმითაც არის წარმატებული, რომ გარდა პატრიოტული სულისკვეთებისა, მოზარდში აღვივებს მოქმედებისა და მხნეობის პათოსს. „პატარა ქართველის“ ხუთივე ტაეპი მაღალმხატვრული ფორმით ასახავს პატარა ქართველის ლტოლვასა და მისწრაფებას. იგი, როგორც სახელოვანი ერის შვილი, მზადაა იცოცხლოს და იბრძოლოს ისევე ღირსეულად, როგორც ილვწოდნენ და იბრძოდნენ მისი წინაპრები.

პატარა ქართველებისათვის, და არა მარტო მათთვის, უადგილო არ იქნება შევიტყოთ ლექსის ავტორის ვინაობა.

დუტუ მეგრელი დაბადებულა 150 წლის წინათ, 1867 წელს, აბაშის რაიონის სოფელ სუჯუაში. 1887 წელს ქუთაისის გიმნაზიის სრული კურსის დამთავრების შემდეგ, სწავლა გააგრძელა ოდესის უნივერსიტეტში, სადაც იურიდიული ფაკულტეტი დაასრულა 1891 წელს. ამ დროისათვის იგი ცნობილი იყო, როგორც მრავალი საბავშვო ლექსის, მოთხრობისა და სიმღერის ავტორი. თბილისში მან ამაოდ სცადა სამსახურში გამწესებულიყო. 1894 წლიდან დაინიშნა ყოფილი ყარსის ოლქის ოლთისის მაზრის გადასახადთა ინსპექტორად. 1900-1917 წლებში დუტუ მეგრელი მსახურობდა ერევნის გუბერნიის ნახიჩევანის მაზრაში.

საბავშვო ლექსების წერა დუტუ მეგრელმა ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს დაიწყო. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა გაზეთ „თეატრში“, 1886 წელს, „ოტიას“ ფსევდონიმით.

პირველი მოთხრობა გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“, 1888 წელს. დუტუ მეგრელი იყო მწერალი, პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, იგი მე-19 საუკუნის 80-90-იანი წლების გარდამავალი პერიოდის ცნობილი მოღვაწეთაგანია. დუტუ მეგრელი დაახლოებული იყო ახალი თაობის წარმომადგენლებთან, რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში თანმიმდევრულად იცავდნენ ეროვნული თვითმყოფადობისა და ცნობიერების იდეებს. დუტუ მეგრელის შემოქმედების მოტივია სინამდვილის ასახვა საქართველოს იმდროინდელ სულიერზნეობრივი და პატრიოტულ-რელიგიური სინამდვილისა. „პატარა ქართველის“ ავტორი სამართლიანად მიიჩნიეს რეალისტური სკოლის იდეების გამგრძელებლად. იგი ღირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელია ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის და სხვათა შეხედულებებისა და მიმართულებებისა, რომელსაც ასაზრდოებდა ეროვნული მოძრაობის იდეები და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მიზნები.

ლექსი „პატარა ქართველი“ იაკობ გოგებაშვილმა შეიტანა „დედაენის“ 1912 წლის გამოცემაში, ლექსიდან ამოღებულია ერთი სტროფი:

*„ქვეყნის თვალი ეს ქვეყანა*
*ღვთისმშობლისა არის წილი,*
*ბევრ მწარე დღეს მოსწრებია*
*და უნახავს ბევრი ტკბილი“.*

ლექსის იდეური ხელყოფა დაიწყო იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების შემდეგ. „დედაენის“ შემდეგდროინდელ გამოცემებში შეჰქონდათ პირველი და მეორე ტაეპი. „პატარა ქართველის“ პირველი ორი ტაეპია შეტანილი დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოების 1913, 1914 და 1919 წლების გამოცემებში. ლექსი არ არის შეტანილი ვ. ძიძიგურისა და ა. გვახარიას ავტორობით გამოცემულ „დედა ენაში“, რომელიც გამოიცემოდა 1938-1939 წლებში.






1940 წელს საზეიმოდ აღინიშნა იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავი. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში არაფერი იყო ნათქვამი „დედა ენის“ გამოცემების შესახებ, სადაც, სავარაუდოდ, შეტანილი იქნებოდა ლექსი „პატარა ქართველი“. 1944 წელს დაიბეჭდა „დედა ენის“ ე.წ. საბჭოური გამოცემა, შედგენელი ნ. ბოცვაძისა და ეკ. ბურჯანაძის მიერ. ამ გამოცემაში შეიტანეს „პატარა ქართველის“ პირველი და მეორე სტროფები. ასევე პირველი ორი ტაეპია შეტანილი ვ. რამიშვილის მიერ შედგენილ „დედა ენაში“, რომელიც დაიბეჭდა 2004 წელს. როგორც ჩანს, გოგებაშვილის გარდაცვალების შემდეგ, „პატარა ქართველი“ სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი იყო პირველი და მეორე ტაეპის სახით. როგორც აღვნიშნეთ, ლექსი ხუთტაეპიანია. მე-4 და მე-5 ტაეპები არ შეჰქონდათ სახელმძღვანელოებში, მიაჩნდათ რა ისინი უფრო ღრმად პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე სტრიქონებად. ბოლო ტაეპში ავტორი იხსენებს თამარისა და დავითის ბრწყინვალე დროს. ცხადია, ცენზურა სასტიკად კრძალავდა აღნიშნული ტაეპების შეტანას სასკოლო სახელმძღვანელოებში. ქართველთა მოშურნეებს, მეფის ცენზურას არაფრად არ აინტერესებდა, პატარა ქართველისათვის შეეხსენებინათ დავითისა და თამარის ბრწყინვალე ჟამი, როდესაც სწორედ პატრიოტული სულისკვეთება განსაზღვრავდა ქართველების პოლიტიკურ და სულიერ აღმავლობას.

დუტუ მეგრელის აღნიშნული ლექსი დღესაც არ კარგავს პატრიოტულ და აღმზრდელობით ღირსებას. „პატარა ქართველის“ ავტორს დაბადებიდან 150 წელი შეუსრულდა; საჯარო სკოლებსა და ბიბლიოთეკებში, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ტარდება ღონისძიებები. 1976 წელს, ეთერ კარბელაშვილის რედაქტორობით, ცალკე გამოიცა „საყვარელი სამშობლოს“ ტექსტი, ილუსტრირებული, განკუთვნილი პირველკლასელთათვის. დასანანია, რომ აღნიშნული ლექსი არ არის შეტანილი დაწყებითი განათლების სკოლებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებში. მისასალმებელი იქნება, თუ ლექსის ცალკე ილუსტრირებულ გამოცემას გავამრავლებთ დიდი ტირაჟით და სასწავლო წლის დასაწყისში საჩუქრად დავურიგებთ პირველკლასელებს.

**გურამ თაყნიშვილი**
*საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის განყოფილების უფროსი*

პროფესიული განათლება

# WORLDSKILLS INTERNATIONAL

ქალაქ აბუ-დაბიში პროფესიული უნარების (Worldskills) 44-ე საერთაშორისო კონკურსი საზეიმოდ გაიხსნა. 80-მდე ქვეყნის წარმომადგენელთან ერთად, გახსნის ცერემონიალს საქართველოს დელეგაციაც დაესწრო, რომლის შემადგენლობაშიც პროფესიული კოლეჯების კურსდამთავრებულები, მათი პედაგოგები და კონსულტანტები არიან. დელეგაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი თამარ სანიკიძე ხელმძღვანელობენ.

პროფესიული უნარების საერთაშორისო კონკურსში 77 ქვეყნის, 22 წლამდე ასაკის, 1300 წარმომადგენელი მონაწილეობს. ჩვენს ქვეყანას და საქართველოში პროფესიული განათლების დონეს ჩვენი პროფესიული კოლეჯების კურსდამთავრებულები წარმოაჩენენ, ისინი თანატოლებს 7 პროფესიაში შეეჯიბრებიან: სამზარეულო საქმე, საკონდიტრო საქმე, სარესტორნო სერვისი, საპარიკმახერო საქმე, გრაფიკული დიზაინი, საინფორმაციო ქსელების გაყვანილობა და ვებდიზაინი.




საერთაშორისო კონკურსზე წარგზავნილები თბილისში ჩატარებული WorldSkills Georgia-ს ეროვნულ შეჯიბრში გამარჯვებულები არიან. შეჯიბრი შვიდ პროფესიაში ჩატარდა და სწორედ ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულები (თითოეულ პროფესიაში პირველ ადგილზე გასულები) მონაწილეობენ მსოფლიო მნიშვნელობის ასპარეზობაში.

Worldskills Georgia-ს გუნდის წევრებმა და პედაგოგებმა, საერთაშორისო კონკურსისთვის მომზადების ხანგრძლივი ეტაპი და სპეციალური სატრენინგო მოდული გაიარეს. მათი პროფესიონალიზმი Worldskills-ის ორგანიზატორების მიერ უმაღლესი ქულებით შეფასდა.

WorldSkills-ის ფართომასშტაბიანი შეჯიბრებები წელიწადში ერთხელ, რომელიმე წევრ ქვეყანაში ტარდება და 22 წლამდე ასაკის მონაწილეები, ოთხი დღის განმავლობაში, ეჯიბრებიან ერთმანეთს.

**ზურა შავიშვილი**, WorldSkills-ის მონაწილე: *„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მომეცა შანსი WorldSkills-ის მსოფლიო ჩემპიონატზე ვაჩვენო ჩემი ძალები, პროფესიული კუთხით. ვფიქრობ, მსგავსი შეჯიბრებები პოპულარიზაციას გაუწევს პროფესიულ სწავლებას, რაც მომავალში, სავარაუდოდ, განათლების სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი იქნება საქართველოში.“*

**ანნა ტატიშვილი**, WorldSkills-ის მონაწილე: *„საკონდიტრო საქმეს წარმოვადგენ, ველი დიდი გამოცდილების მიღებას. შემართებით ვარ განწყობილი და ძალიან მიხარია, რომ მსგავსი ღონისძიებები ტარდება, რადგან საშუალება მეძლევა, მეტი ინფორმაცია მივიღო, განვვითარდე ჩემს სფეროში და მიღებული გამოცდილებით ჩემს ქვეყანას დავუბრუნდე.“*

**თამარ სანიკიძე**: *„დამთავრდა მოსამზადებელი ეტაპი, ჩვენი გუნდი უკვე შეჯიბრზეა. კონკურსისთვის მზადების ეტაპზე ყველა დავალება წარმატებით შეასრულეს როგორც ექსპერტებმა, ასევე კონკურსანტებმა. დღეს ღონისძიების გახსნაა, გავეცნობით პროგრამის დეტალებს და მუშაობის ინტენსიური რეჟიმი დაიწყება. ვფიქრობ, ჩვენი გუნდის წევრები, წელს, ბევრად უკეთესად არიან მომზადებულები, ვიდრე ეს წინა შეჯიბრის ფარგლებში იყო, ამიტომ უფრო იმედიანად ვარ. წარმატება მინდა ვუსურვო მათ ამ ძალიან მნიშვნელოვან ღონისძიებაში.“*

**ქეთევან ნატრიაშვილი**: *„80-მდე ჩამოსული ქვეყნიდან 51 უნარების საერთაშორისო შეჯიბრზე ძალების მოსასინჯად ემზადება. ძალიან საინტერესო კონკურსი იქნება. დღეს გრანდიოზული გახსნაა და განწყობაც მართლაც ამაღლებულია. ჩვენს მონაწილეებს ვუსურვებ წარმატებას და დარწმუნებული ვარ, რომ ეს მათთვის ფასდაუდებელი გამოცდილება იქნება. მართლაც არაჩვეულებრივი პლატფორმაა – შესაძლებლობა გვეძლევა, რეალურად გავეცნოთ, საერთაშორისო სტანდარტებით, როგორ კეთდება პროგრამები კონკრეტული პროფესიების მიმართულებით, რა სიახლეებია, როგორი ტექნოლოგიები ინერგება. ამ ცოდნა-გამოცდილებას, ჩვენი ექსპერტები, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, კოლეგებს გაუზიარებენ.“*

WorldSkills International-ს წევრი საქართველო 2012 წლიდან გახდა, ის ამჟამად 77 ქვეყანას აერთიანებს. კონკურსი წელს 44-ედ იმართება, საქართველო კი, მესამე წელია, რაც ამ მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებას შეუერთდა. საქართველოს წარმომადგენლებმა გასულ წლებში გერმანიასა და ბრაზილიაში გამართულ კონკურსებზე წარმატებით იასპარეზეს.

WorldSkills Georgia საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთობლივი პროექტია და მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის ნაწილი, რომლის მიზანია საქართველოში პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, ხარისხის გაუმჯობესება, საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება და ინტერნაციონალიზაცია. WorldSkills შესანიშნავი პლატფორმაა პროფესიული უნარების წარმოჩენისა და განვითარებისთვის.

გამოცდილება

# უცხოური ენის სწავლების ხელოვნება



ამერიკელი ფსიქოლოგის, ჰოვარდ გარდნერის **მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის** თანახმად, არსებობს რვა ერთმანეთისგან განსხვავებული ინტელექტის სახე და მისი შესაბამისი სწავლის სტილი.

ინტელექტის სახეებია: ლინგვისტური, მათემატიკურ-ლოგიკური, ვიზუალურ-სივრცითი, სხეულებრივ-კინესთეტიკური, მუსიკალური, ინტერპერსონალური, ინტრაპერსონალური და ნატურალისტური. თითოეულ ადამიანს ზემოთ ჩამოთვლილი ინტელექტის რამდენიმე სახეობა აქვს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლის მასწავლებელი აცნობიერებდეს სხვადასხვა ადამიანის სხვადასხვა ხარისხით მიდრეკილებას სხვადასხვა ინტელექტისადმი, რომ მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობების მრავალმხრივად გამოხატვის და განვითარების შესაძლებლობა მისცეს.

უცხო ენის სწავლება განსაკუთრებულ ძალისხმევას ითხოვს სხვადასხვა თვალსაზრისით, კერძოდ, რომელ საფეხურზე ვიწყებთ სწავლებას, რა კონკრეტული ობიექტური გარემოებები არსებობს, როგორია განწყობა და დამოკიდებულება სასწავლო პროცესის მიმართ როგორც მოსწავლის, ასევე მასწავლებლის მხრიდან. პედაგოგიკის თეორეტიკოსები განმარტავენ, რომ შედეგის მისაღწევად საჭიროა მრავალმხრივი აქტივობების გამოყენება სწავლების საფეხურის გათვალისწინებით.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკა – ინგლისური ენის სპეციფიკური სწავლება – განსაკუთრებით ეფექტურია დაწყებით საფეხურზე და პირველკლასელთა ასაკობრივ თავისებურებებზეა მორგებული. ჩემი კარიერის დასაწყისში უცხო ენა არ ისწავლებოდა პირველ კლასში, შესაბამისად, მოსწავლე, ყველაზე ადრე, მეორე კლასში იწყებდა უცხო ენასთან ურთიერთობას. ამ დროს მას უკვე მშობლიურ ენაზე შეეძლო წერა-კითხვა, მარტივი წინადადებების ფორმულირება და ფლობდა წერის, ზეპირმეტყველების და სხვა ელემენტარულ უნარებს. ეს ფაქტორები მას ახალი ენის შესასწავლად წარმატების მიღწევაში ეხმარებოდა.

სირთულეს უკავშირდება ამ პროცესის პირველ კლასში განხორციელება. ამიტომ მუდმივად ვცდილობ, დავხვეწო სწავლების პირველი წლის მეთოდები და საშუალებები. სიახლეს არ ვიტყვი, თუ უცხო ენის შესწავლის საქმეში **მუსიკის როლს** გამოვკვეთ და აღვნიშნავ, რომ სწორი წარმოთქმის, მეტყველების დაწყების ფაზაზე, სიტყვებისა და ფრაზების სიმღერით, ანუ გაბმული მეტყველებით წარმოთქმას დიდი ეფექტი აქვს. ამ საქმეში ხელს მიწყობს ჩემი მუსიკალური განათლება. რამდენიმე წლის წინ, სწავლების პირველ წელს მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვების შემდეგ, გადავწყვიტე, მეცადა სიმღერით სწავლების მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს მუსიკის თანხლებით, მასწავლებლის მიერ, ტექსტის შესრულებაში მოსწავლეთა ჩართვას. აღმოჩნდა, რომ ისინი მაღალი მოტივაციით და ხალისით შეუდგნენ ყველა დავალების შესრულებას. შედეგი იყო გასაოცრად განსხვავებული, ვიდრე ზეპირი ან წერითი მეტყველებით სწავლების პირველი წლის შედეგები. მოსწავლეები არ იწყენდნენ და ითხოვდნენ, სულ უფრო მეტი სიმღერა შეგვესრულებინა. შედეგი კიდევ უფრო მაღალი აღმოჩნდა, როცა საგაკვეთილო პროცესი, მონაცვლეობით, სიმღერითა და **ხატვით** წარვმართე. ხატვით მოსწავლეთა უნარებისა და შესაძლებლობათა რეალიზება ეფექტურია სხვადასხვა საფეხურზე და საგანშიც, მაგრამ პირველკლასელთა ჩართულობა ამ პროცესში მეტად ხალისით წარიმართა.

ასევე დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს კონკრეტული სიტყვებისა და ფრაზების ჟესტ-მიმიკის საშუალებით ახსნას. მოსწონთ ემოციური დამოკიდებულება და **თამაში,** ვიყენებ სხვადასხვა ხასიათის თამაშებს, რომლებსაც სიხარულით იმეორებენ პატარა მოსწავლეები. გაკვეთილი მხიარული და აქტიურია. მართალია, ასეთი აქტივობებით გაჯერებული გაკვეთილი დიდ შრომას და ძალისხმევას ითხოვს ჩემგან, მაგრამ ეფექტიც შესაბამისია.

**ილონა აფაქიძე**
***სსიპ-თბილისის №128 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი***

***გამოყენებული ლიტერატურა:***
*ამერიკელი ფსიქოლოგი ჰ. გარდნერი – მრავალმხრივი ინტელექტის თეორია.*









ინფორმაცია

# წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოება გრძელდება

**თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეები, რომელთაც საბაზო საფეხური წარმატებით დაასრულეს, პორტაბელური კომპიუტერებით დაჯილდოვდნენ. საქართველოს მასშტაბით, წარჩინებულ მოსწავლეთა რაოდენობა 2557-ია. აღსანიშნავია, რომ დაჯილდოებულ მოსწავლეთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. დაჯილდოების პროცესი გრძელდება და, უახლოეს მომავალში, კომპიუტერს ყველა ბენეფიციარი მიიღებს.**













პროფესია პედაგოგი

# გულის გულიდან ამოძახილი

დიდი ხანია მინდოდა დამეწერა, მაგრამ, გოგლას თქმისა არ იყოს, – „მე ვინ მომცა ისეთი ლექსი-ამ თითებმა ამოქარგოსო“, მეც იგივეს გავიმეორებ და ვიტყვი: მე ვინ მომცა ისეთი სიტყვა, რომ მას წარმოაჩენდეს სრულყოფილად...

ბევრჯერ ჩავფიქრებულვარ, მაინც რა არის ბედნიერება?!...

ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ადამიანები სხვადასხვა რაიმეს მიიჩნევენ ბედნიერებად – ბავშვობისას სხვას, ახალგაზრდობისას სხვას, ზრდასრულობისას კიდევ მეტ ანალიზს ვუკეთებთ წარსულსა და აწმყოს...

ჰოდა, ნახევარ საუკუნეს გადაცილებულმა, სწორედ რომ, სხვაგვარად გადავიხედე უკან, წარსულისაკენ, არ დავასვენე ის პატარა გოგო, რომელიც აუცილებლად დარჩებოდა ისე პატარად, შეუმჩნეველ ობოლ ბავშვად, შეიძლებოდა



დაბეჩავებულადაც კი, რომ არა მას...

არ დავასვენე, ვანჯღრიე, გამოვაფხიზლე, რომ მეტი მოგონება გადმოფენილიყო იმ შორეთიდან...

ამოტივტივდა მოგონებათა კორიანტელი, ჩვენი სიანცე, სიზარმაცე... ის დღე, როდესაც განსაკუთრებული სითბო და სიყვარული ჩამეღვარა გულში, გამითბო, გახსნა მისი კარი, შიგ ჩაიბუდა სამუდამოდ და ყოველ ცისმარე იქიდან მეჩურჩულება... და იცით?! არც ერთი პრობლემა არ იჭრება მხოლოდ ჩემ მიერ, ამ ხმას ვეკითხები, ისიც თავისი უშურველი სიტყვაკაზმული და შემაფხიზლებელი ტონით დამმოძღვრავს და არაფერი აღარ მაშინებს! ეს არ შეუძლია არც დედას, არც მეგობარს, არც ახლობელს... ალბათ ფიქრობთ, მაინც ვინ არის ეს ყოვლისშემძლე?! ეს გახლავთ ჩემი ქართულისა და ცხოვრების მასწავლებელი, ქალბატონი **ნუნუ გოგოლიძე**, რომელმაც ვინ იცის რამდენ ასეულ ბავშვს აუნთო ჩემსავით გული სიკეთისა და იმედიანი მომავლისაკენ, არანორმალურად შეაყვარა ყველაფერი მშობლიური, აზიარა ქართული ენის ხიბლს და ჩაუმქრალი შარავანდედით გაუნათა ცხოვრების გრძელი გზა, გამოგვატანა საუკუნის საგზალი და გაგვიშვა უკიდეგანო ცხოვრების ორომტრიალში...

ვფიქრობ და ვერ ამიხსნია, რით შეუძლია ერთ ადამიანს ამდენი... ერთნაირად უყვარდეს და ზრუნავდეს ყველაზე, ახარებდეს ყველას სიხარული და აწუხებდეს ყველას ტკივილი, უშურვებლად ურიგებდეს ყველას სითბოს, სიყვარულს, დარიგებას, მადლს...

რამდენჯერ მინახავს მის უძიროდ ლურჯ, მეტყველ და ულამაზეს თვალებში სხვისი ტკივილისთვის მოდენილი ვეება ცრემლი, სხვისი სიხარულით გაცისკროვნებული, ანთებული, მოციმციმე თვალები, ნეტავ ხატვაც შემეძლოს, ყველას გიჩვენოთ, რა ლამაზია ჩემი მასწავლებელი! კიდევ ვიკითხოთ რა არის ბედნიერება? ვტირი სიყვარულით!

აი, ეს არის ბედნიერება, როცა ასეთი სიყვარულით გიგონებენ შენი მოსწავლეები, არა ერთი და ორი, არამედ ყველა, ვისაც თუნდაც ერთი გაკვეთილი მოუსმენია.

ბედნიერია ერი, ვისაც ასეთი მასწავლებელი ჰყავს, ნეტავი მათ, ვისაც ასეთი ადამიანების სიახლოვეს გიწევთ ცხოვრება! ნეტავი იმ მშობლებს, ვისი შვილებიც ქალბატონი ნუნუს ქართულს ისმენენ...

ჩემი სიტყვა მსურს დავასრულო ნუნუ მასწავლებლის ყოფილი მოსწავლის, **მარიამ გოგობერიშვილის** ლექსით, რომელიც მას უძღვნა.

### სულის სამჭედლოში

*მნახველს აოცებდა ხალიბთა ფოლადი, ასეთი რა იყო ნეტავ?*
*ფოლადს ჭედდნენ და ათვინიერებდნენ,*
*ფოლადს, მახვილთა მკვნეტავს!*
*იცოდნენ ხალიბებმა მისი საიდუმლო,*
*კიდეც ამაყობდნენ ამით,*
*მე მათზე ვფიქრობ და თქვენი ხატება*
*თვალწინ მეხატება წამით!*
*სულის სამჭედლოში – ცოდნის დიდ ქურასთან,*
*დგეხართ ამაყად და იბრძვით,*
*სული იჭედება შოთას და აკაკის, შოთას და ილიას სიბრძნით!*
*მზერა ქართულია, ალღო უტყუარი, გული არ ისვენებს, არა...*
*რომ თქვენს გამოწრთობილს ბზარი არ დააჩნდეს,*
*ხალიბთა ფოლადის დარად!*
*როგორ გაფრენილან წლები ამ ჭიდილში,*
*თქვენ კი არ გიგრძვნიათ დაღლა!*
*ქართული ჯიშის და გენის სადიდებელ*
*სიმღერას მღერიხართ ახლაც!*
*მინდა გეამბოროთ სხივნათელ თვალებში,*
*ლოცვით შევევედრო უფალს:*
*– სულის სამჭედლოში, ცოდნის დიდ ქურასთან*
*დაუღლელს გხედავდეთ მუდამ!...*

28 ოქტომბერს თქვენი დაბადების დღეა!
გილოცავთ!

**ნაზიბროლა არსენაძე**
***აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი***

ილია – 180

# ერის მამა



შემოდგომის ერთ მზიან დღეს, 6 ოქტომბერს, დედოფლისწყაროს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა მკითხველთა კონფერენცია – „ერის მამა“, რომელიც მიეძღვნა ილია ჭავჭავაძის დაბადების 180 და გარდაცვალების 110 წლისთავს.

კონფერენცია გახსნა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა **მანანა მაჭარაშვილმა**, რომელმაც აღნიშნა, რომ ამოუწურავია ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ქართველი ერის წინაშე და ისაუბრა მის მრავალფეროვან შემოქმედებაზე, საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.

კონფერენციაზე საინტერესო თემით – „ბაზალეთის ტბა“ – წარდგა დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე **ანასტასია ყოჩიაშვილი**.

„განდეგილობის პრობლემა ილიას „განდეგილისა“ და ზოგიერთი ცნობილი მწერლის შემოქმედებაში“ წარმოგვიდგინა ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, მაღალი ერუდიციით გამორჩეულმა, საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად ნომინაციაში „ბრენდ-პერსონად“ აღიარებულმა, ბატონმა **ეგული ყოჩიაშვილმა**.

ილიას პირად წერილებზე ისაუბრა ბიბლიოთეკარმა **თინათინ ელაშვილმა**, ვოკალური ჯგუფის წევრებმა, პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა – **მარიამ ყოჩიაშვილმა, გიორგი ალუღიშვილმა** და საპატრიარქოსთან არსებული სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებმა – **ლუკა ყაჭაშვილმა** და **ივანე შიუკაშვილმა** კომპოზიტორ **რუსუდან (მაცაცო) სებისკვერაძის** ჰიტად აღიარებული სიმღერა „საყვარელო მამულო“ შეასრულეს (ვოკალური ჯგუფის ხელმძღვანელი – **ნინო ნიკვაშვილი**).

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების პერსონაჟები – არჩილი და კესო განასახიერეს დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის IV-კლასელებმა – **ნოდარ** და **თეკლა ნატროშვილებმა**, ლუარსაბი და დარეჯანი – **ლაშა ჭუბაბრიამ** და **ანა ჩიტაშვილმა** (სკოლის დირექტორი – **ეთერ ოთარაშვილი**). ოლღა გურამიშვილისადმი მიძღვნილი წერილები გაგვაცნო სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ, **ანა ფიროსმანაშვილმა** (სკოლის დირექტორი – **ნანა ჭილიტაშვილი**).

სიტყვებით გამოვიდნენ: დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი **ნანული ნატროშვილი**, ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარე, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი **ნანა ჭიჭინაძე**, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი **ნონა ჯიბლაშვილი**. მან განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ეგული ყოჩიაშვილს, რომელიც ყველა



კულტურულ-სამეცნიერო ღონისძიებებში აქტიურად არის ჩართული, ასევე დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისთვის, კონფერენციაში მონაწილე სკოლის მოსწავლეებს, პედაგოგებს, კულტურის სფეროს თანამშრომლებს და დასძინა, რომ დიდი ილიას სახელის უკვდავსაყოფად კიდევ არაერთი ღონისძიება მოეწყობა...

კონფერენციას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსი **თამარ თამაზაშვილი** და რესურსცენტრის დირექტორი **ეთერ დავითაშვილი**.

კონფერენციას ლეიტმოტივად გასდევდა ილია ჭავჭავაძის ლექსზე შექმნილი უკვდავი სიმღერა „ჩემო კარგო ქვეყანა“.

**მარიკა პოპიაშვილი**





მშობელთა კრება

# რა სურს მოზარდს და როგორ შევინარჩუნოთ მასთან ურთიერთობა



მოზარდების მშობლები ხშირად არ არიან მოზარდთან კომფორტულ ურთიერთობაში. კარის მიჯახუნება, კომპიუტერთან დიდხანს ჯდომა, არჩეული მეგობრებით უკმაყოფილება, გარეთ გატარებული დროის შეზღუდვა, გვიან დაძინება და დილით გაღვიძების პრობლემა – ყველაფერი ამის კრიტიკა ტოვებს განცდას, რომ კამათი უშედეგოა, მოზარდი ერთ ყურში უშვებს მშობლების სიტყვებს და მეორედან გამოუშვებს. რაც უფრო მეტად ებრძვის მშობელი მოზარდს, მით ნაკლებად ღებულობს შედეგს.

რა ხდება „თინეიჯერობის" პერიოდში, რატომ ხდება მოზარდი ურჩი? ნაწილი მიზეზისა შეიძლება იყოს ის, რომ მოზარდის ტვინში ინფორმაცია მუშავდება სხვანაირად, ვიდრე ეს ზრდასრულებში ხდება (ნეიროფსიქოლოგიური კვლევა – Deborah Todd-Yurgelun, PhD, of Harvard University's McLean Hospital Cognitive Neuroimaging and Neuropsychology Laboratory). გარდა ინფორმაციის გადამუშავების განსხვავებებისა, მოზარდთა ტვინი უფრო იმპულსურია, რაც იწვევს ქცევებს, რომელზეც საზოგადოება უარყოფითად რეაგირებს. ასევე გასათვალისწინებელია ორგანიზმში მიმდინარე მთელი რიგი ფიზიოლოგიური ცვლილებები, მაგრამ ახლა ჩვენ ფიზიოლოგიურ მიზეზებს არ განვიხილავთ. გვაინტერესებს, რა ფსიქოლოგიური ასპექტები განსაზღვრავს მოზარდის ქცევას.

მოზარდები ეკამათებიან მშობლებს, რადგან მეტი დამოუკიდებლობის მოპოვება და საკუთარ ცხოვრებაზე მეტი ინიციატივის აღება სურთ, აპროტესტებენ წესებსა და ლიმიტებს,რაც ზღუდავს მათ თავისუფლებას.

ბავშვობის პერიოდში ადვილია მშობლის მიერ ავტორიტეტის დამკვიდრება (8-9 წლამდე), თუმცა შენარჩუნებაა რთული უკვე მოზარდობის ადრეულ პერიოდშივე (9-13).

რა არის მშობლის ავტორიტეტი და რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

მშობლის ავტორიტეტი ეყრდნობა ორ ფაქტორს: ლიდერობის ძალას, როცა ბავშვი აკეთებს იმას, რაც მშობელს სურს და მწვრთნელის ძალას, ასწავლოს ბავშვს ის, რაც თავად მიაჩნია სწორად.

მშობლები მიისწრაფვიან, გავლენა იქონიონ ბავშვის არჩევანზე და სურთ ამ ზეგავლენის შენარჩუნება, ასევე, სურთ დაუფასდეთ ის უზარმაზარი პასუხისმგებლობა და შრომა, რაც შვილის ყოველდღიურ მოვლასა და ზრუნვაში ჩადეს.

როგორც წესი, მშობლები ჩივიან:

– „ჩემი შვილი საერთოდ აღარ მიწევს ანგარიშს, პატივს აღარ მცემს."

– „რასაც ვეუბნები, ყველაფერს უგულებელყოფს."

– „მაშინ გააკეთა, როცა თვითონ მოისურვა."

– და სხვ.

შვილისგან ხშირად ესმით შემდეგი ფრაზები: „რატომ უნდა გავაკეთო?"; „ეს ჩემი ცხოვრებაა და არა შენი"; „შენ არ ხარ მსოფლიოს მბრძანებელი". შეიძლება მოზარდმა მშობელი შემდეგი ფრაზებით – „ჯერ არ მინდა", „მერე გავაკეთებ" – მოიშოროს. ესეც გარკვეული წინააღმდეგობაა.

მშობლები უნდა შეეგუონ, რომ მოზარდისგან ხშირად ვერ მიიღებენ იმას, რაც სურთ, როგორც სურთ და როდესაც სურთ და ეს ნორმალურია. რაც მეტად იზრდება მოზარდი, მით მეტად უგულებელყოფს მშობლის ავტორიტეტს.

***<u>რჩევა მშობლებს</u>:***

გაიხსენეთ თქვენი მოზარდობის პერიოდი და ყველაფერს უფრო ადვილად შეხედავთ.

თუ ახალგაზრდა, რომელიც შესრულდება ოცი წლის, მუდმივად ცხოვრობდა ისე, როგორც მშობელს სურდა, დამოუკიდებლობა გაუჭირდება. ეს გადაჭარბებული კონტროლის შედეგია. მშობელზე დამოკიდებულების შემთხვევაში, მოზარდი გადაწყვეტილებებს იღებს მშობლების შეხედულების მიხედვით. შემდგომაც, ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღებისას, „ავტომატური მოკარნახე" ჰყავს – „რა მოეწონებოდათ მშობლებს", ან მეორე ვარიანტი, როდესაც ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად მშობლებს მიმართავს, რადგან მათ „უკეთ იციან" ან ეკითხები როგორ მოიქცე იმიტომ, რომ უბრალოდ არ გინდა აწყენინო.

**მშობლობა არ ნიშნავს საჭმელს, ტანსაცმელს და თავშესაფარს! ეს ყველაფერი ბავშვს ობოლთა თავშესაფარშიც შეიძლება ჰქონდეს. მშობლის მოვალეობაა ბავშვის ემოციური კეთილდღეობა და მის გრძნობებსა და ფიქრებზე ზრუნვა. საჭიროა შენიშნოთ, ვინ არის ის სინამდვილეში და ხელი შეუწყოთ მისი ინდივიდუალური „მე"-ს განვითარებას. ეს ბევრად უფრო შრომატევადია და მნიშვნელოვანი, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი სხვა დანარჩენი აქტივობები. ბავშვს უბრალოდ სურს მოუსმინონ და დაინახონ ის.**

უნდა გაითვალისწინოთ, რომ შეიძლება მოზარდი არ იყოს ურჩი და გეთანხმებოდეთ ყველაფერში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის კარგად გრძნობს თავს. შესაძლოა, განუვითარდეს დეპრესია, კვებითი დარღვევები, გახდეს აგრესიული ან მწეველი/ნარკოტიკზე დამოკიდებული და სხვ.

ბავშვობის პერიოდში, მშობლის უპირატესობა იმაშია, რომ ის აძლევს ბავშვს ცხოვრების სტრუქტურას და მითითებებს, ადგენს წესებს, რა გააკეთოს, რა არ გააკეთოს, რა არის სწორი, რა არასწორი, რა მუშაობს, რა არ მუშაობს. ეს ის მინიშნებებია, რის მიხედვითაც ბავშვი აკეთებს არჩევანს და სწორედ ეს ხდება მისი მომავალი გადაწყვეტილებების საფუძველი. ბავშვს სჭირდება ეს საფუძველი უსაფრთხოდ და ჯანსაღად ფუნქციონირებისათვის.

ბავშვობაში მშობელსა და შვილს შორის კავშირი მყარია. ურთიერთობა სიყვარულს, მზრუნველობასა და კონტროლს, ერთობლივად, ადვილად იტანს. ყველაფერი იცვლება, როცა მოზარდობა იწყება (9-13) – რთულდება ურთიერთობა და, გარკვეულწილად, ირღვევა კავშირი მშობელსა და შვილს შორის.

❖ ადრეულ მოზარდობაში (9-13) ბავშვი იწყებს დამოუკიდებლობის ძიებას და მშობელი ვეღარ იმორჩილებს მას.

❖ მეორე ეტაპზე (13-15) მოზარდი მეტად ამყარებს ურთიერთობებს გარეთ, იძენს მეგობრებს. ახლა მისთვის ორმაგი ცხოვრება იწყება. თანატოლებთან სოციალური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, მოზარდები დისტანციას იჭერენ მშობლებთან. ამ დროს შეიძლება მშობლის იგნორირებაც კი მოხდეს. მშობლები, გარკვეულწილად, ახერხებენ ამის დარეგულირებას, როდესაც იწვევენ შვილის მეგობრებს სახლში და მათ მეგობრულად ექცევიან.

❖ მოზარდობის მესამე ეტაპზე (15-18) ძველი აკრძალვები, გარეთ ყოფნასთან დაკავშირებით, თანდათან იკლებს. მოზარდები მეტ უფლებებს იძენენ და მეგობრებთანაც მეტ დროს ატარებენ. მშობლებმა იციან საფრთხეების შესახებ, რაც შეიძლება მოზარდს გარეთ შეემთხვეს (ნარკოტიკების მოხმარება, სექსუალური კავშირები, თავგადასავლების რისკი, ძალადობა – ეს ყველაფერი გარესამყაროს გავლენებთან ასოცირდება). ერთადერთი გზა რჩება მშობელს, კარგად აუხსნას ამ რისკების შესახებ, ეს მისი მოვალეობაცაა, მხოლოდ შერჩეული უნდა იქნეს მეგობრული ტონი.

❖ მოზარდობის მეოთხე ეტაპი (18-23) მოზარდის მეტ თავისუფლებას მოითხოვს. აქ მშობელმა სრულად უნდა დათმოს მართვა და მხოლოდ მრჩევლის როლი აირჩიოს, ისიც იმ შემთხვევაში, როცა მოზარდი ჰკითხავს. თუ მშობლები პატივს სცემენ შვილის დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს, შვილებიც დააფასებენ იმ ცოდნას, რაც მშობლებს ცხოვრების მანძილზე შეუძენიათ და ადვილად მიიღებენ მათ რჩევებს.



***<u>გაითვალისწინეთ</u>:***

❖ **მოზარდს სჭირდება სიყვარული და მხარდაჭერა.**

შეაქეთ, როცა სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს და პატივი ეცით მის არჩევანს.

❖ **გაზარდეთ კომუნიკაცია.**

მოზარდისთვის სივრცის მიცემა თავისუფლებისთვის არ ნიშნავს კომუნიკაციის შემცირებას. ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მშობლებს ესმით მისი წუხილი, მხარში უდგანან იმ გზაზე, რომელსაც ის გადის. მას სჭირდება მშობელთან კავშირი განვითარებისთვის და მშობელსაც სჭირდება ეს კავშირი იმისთვის, რომ ფლობდეს ინფორმაციას შვილის ცხოვრების შესახებ, რათა დაეხმაროს აუცილებლობის შემთხვევაში. თუმცა, ეს არ ნიშნავს გაკონტროლებას.

❖ **შეამცირეთ წესები და რეგულაციები.**

თუ გსურთ თქვენი მოზარდის ქცევა შედარებით პოზიტიური იყოს, აღარ გაუმეოროთ ის წესები, რაც ბავშვობაში უკვე გაიარა. მან ისედაც კარგად იცის ამ წესების შესახებ და აუცილებლად გამოიყენებს.

ინფორმაცია

# სკოლის დირექტორთა ახლად არჩეული საბჭოს სხდომა გაიმართა



საჯარო და კერძო სკოლების დირექტორთა საბჭო, სამ თვეში ერთხელ, ახალი წევრებით კომპლექტდება, ახალ წევრებს თავად დირექტორები ირჩევენ. ახალ სასწავლო წელს განახლებული საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური** უძღვებოდა. სხდომის დასაწყისში მან ვრცლად ისაუბრა ყველა მნიშვნელოვან სიახლეზე, შემდეგ კი, საბჭოს წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები წარუდგინა, თითოეულ მათგანზე საბჭოს წევრებმა მოხსენებები მოისმინეს და გადაჭრის გზებთან დაკავშირებით იმსჯელეს.

დასასრულს, კერძო სკოლის „მწიგნობართუხუცესი" დირექტორმა **დავით კახნიაშვილმა**, სოფელ ზემო ნიქოზის საჯარო სკოლასთან თანამშრომლობის ამსახველი პრეზენტაცია წარმოადგინა.




**დავით კახნიაშვილი**: *„დირექტორთა საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე მინისტრმა მოგვიწოდა, რომ კერძო და საჯარო სკოლებს გვეთანამშრომლა. ამავე სხდომაზე ნიქოზის სკოლის დირექტორმა დააყენა საკითხი მათი სკოლის ფასადის შეკეთების თაობაზე, რომელიც 2008 წლის ომის დროს დაზიანებულა. ძალიან იმოქმდა ჩემზე, შენობას ნატყვიარები მოუშუშებელ ჭრილობად რომ აჩნია. ჩვენი შვილების, მოსწავლეების თანატოლი ბავშვები ყოველდღე შედიოდნენ ამ დაცხრილულ შენობაში, რომელსაც სკოლა ჰქვია და ყოველდღე ხედავდნენ ომის ნაკვალევს. როცა სკოლის სურათები ვნახე, გული შემეკუმშა. ავიღე ვალდებულება, რომ ზაფხულის განმავლობაში სკოლის ფასადს გავაკეთებდით და გავაკეთეთ კიდეც. თავმოსაწონი არაფერია, მაგრამ სკოლა-ლიცეუმმა „მწიგნობართუხუცესი" ქველმოქმედება გასწია და ნიქოზელი ბავშვებისთვის მართლაც კარგი საქმე გაკეთდა.*

*ერთი რამ ნამდვილად მინდა ვთქვა და ეს სხვა კერძო სკოლებისთვისაც სამაგალითო იყოს – ჩვენ, კერძო სკოლები, ბიზნესადაც ვითვლებით და ხშირად გვაკითხავენ ხოლმე სხვადასხვა ორგანიზაციები თუ კერძო პირები, რომ ქველმოქმედება გავწიოთ. ჩემი აზრით, ყველაზე კარგი ქველმოქმედება საზღვრისპირა თუ მაღალმთიანი რეგიონების სკოლების დახმარება იქნება. რაც მთავარია, ასეთი ტიპის ქველმოქმედება ბავშვებთან მიდის და რეალურად ვხედავთ რა გაკეთდა – ხშირად პატარა თანადგომა დიდ როლს თამაშობს ბავშვების ცხოვრებაში."*

საჯარო და კერძო სკოლების თანამშრომლობის ხელშეწყობა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **ალექსანდრე ჯეჯელავას** ერთ-ერთი ინიციატივაა. მისასალმებელია, როდესაც წარმატებული და ფინანსურად ძლიერი სკოლა ეხმარება სასწავლო დაწესებულებას, რომელსაც ამის საჭიროება აქვს. კერძო სკოლის „მწიგნობართუხუცესი" დირექციის გადაწყვეტილებით, ზემო ნიქოზის საჯარო სკოლის ფასადის რეაბილიტაცია განხორციელდა, კერძო სკოლა მზად არის დამეგობრებულ სკოლას სწავლის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებასა და სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებშიც დაეხმაროს.

სპორტი

# სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატი

ბოლო უქმეებზე, სერბეთის ქალაქ ნოვი სადში, ჩატარდა სამბისტთა ასაკობრივი მსოფლიო ჩემპიონატი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის, რომელშიც, ტრადიციულად, წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი სპორტსმენები. განსაკუთრებით – ჭაბუკები.

ჩვენმა გაერთიანებულმა გუნდმა 12 მედალი მოიპოვა: 4 ოქრო, 2 ვერცხლი და 6 ბრინჯაო. აქედან ერთი გოგონების ნადავლია – 17-წლამდელებში მესამეზე გავიდა **ქეთევან ჩხაიძე** (70).

ჭაბუკთა ასაკის მონაწილეებზე 7 ჯილდო მოდის: 3-3 ოქრო-ბრინჯაო და 1 ვერცხლი. მსოფლიო ჩემპიონები **გოგა ვარდოსანიძე** (52), **გაგა ბახტიძე** (65) და **ლევან გუგავა** (70) გახდნენ. **საბა გრიგალაშვილი** (60) ფინალში დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა, ბრინჯაოს მედლებს კი **ამირან დარბაისელი** (56), **ლაშა მატიაშვილი** (81) და **ომარ საური** (87) დაეუფლნენ.

ახალგაზრდებმა სერბეთში 4 მედალი მოიპოვეს: თითო ოქრო-ვერცხლი და 2 ბრინჯაო. ამ ასაკში მსოფლიოს ჩემპიონი, უფრო ძიუდოდან ცნობილი, **დავით რამაზაშვილი** (100) გახდა, ვერცხლი **დავით კოპაძემ** (68) მოიპოვა, ბრინჯაოს კი **ვახტანგ მეტივიშვილი** (57) და ასევე ძიუდოისტი **ნიკა სიდამონიძე** (90) დაეუფლნენ.






14-15 ოქტომბერს ამბროლაურმა მე-14-დ უმასპინძლა სახელოვანი ვეტერანი ფალავნის, თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **გურამ საღარაძის** სახელობის საერთაშორისო ტურნირს 2003-2004 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის, რომელშიც, ამჯერად, მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა რაიონების გუნდები, სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაკრებები. ამბროლაურში 160 მოზარდი მოგროვდა, შეჯიბრებას კი არაერთი სახელოვანი ვეტერანი ესწრებოდა: ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი **დავით გობეჯიშვილი**, მსოფლიო ჩემპიონი, ორგზის ოლიმპიური პრიზიორი **გიორგი გოგშელიძე**, თავად **გურამ საღარაძე**, მისი მეგობრები და სხვები.



ჩვენი ჭაბუკებისთვის ეს ერთ-ერთი საკვანძო შეჯიბრება იყო საგაისო გუნდის დასაკომპლექტებლად და ამიტომ მწვრთნელებმა ყველა სავარაუდო კანდიდატს თუ სათანადო ამბიციის მქონე მოზარდს დაავალეს ტურნირში ჭიდაობა, რამაც მისი პრესტიჟი აამაღლა.

შეჯიბრებამ მასპინძელთა უპირატესობით ჩაიარა – 13 წონითი კატეგორიიდან 10-ში გაიმარჯვეს. გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო მაჩვენებელი თბილისის გუნდს აღმოაჩნდა, რომელმაც, მართალია, მხოლოდ ერთი ოქრო მოიპოვა, თუმცა პრიზიორები ჰყავდა მეტი და ყველაზე ბევრი ქულაც ამის ხარჯზე დააგროვა; მეორეზე გორის (3 ოქრო), მესამეზე კი საგარეჯოს (2 ოქრო) გუნდები გავიდნენ. გულდაწყვეტილი არც რაჭველები დარჩენილან: ამბროლაურელებმაც და ონელებმაც თითო ოქრო დაისაკუთრეს, სტუმართაგან: აზერბაიჯანმა – 2 ოქრო, სომხეთმა – 1 ოქრო.

გორელთაგან ჩემპიონები **თემურ ფუთარაშვილი** (23), **გიორგი მაისურაძე** (26) და **ნიკა ბოჭორიშვილი** (32) გახდნენ, საგარეჯოელთაგან – **გიგი ქურხული** (53) და **დავით კუჭუაშვილი** (63). ონს ოქროს მედალი **ლუკა გუგეშაშვილმა** (38) მოუტანა; ამბროლაურს – **ბეჟან ბარსონიძემ** 42 კილოგრამში; თითო ჩემპიონი რუსთავსა და ქუთაისსაც გაუხდათ – **აკაკი ჩიტაძე** (59) და **ნიკა ფესტვენიძე** (73); თბილისელთაგან საუკეთესო მაჩვენებელი მძიმეწონოსანმა **ნიკოლოზ ბარაბაძემ** აჩვენა 85 კილოგრამში.

აზერბაიჯანელთაგან ჩემპიონები **ომარ გულმამედოვი** (35) და **ილიასტ აზაევი** (47) გახდნენ, სომხებს კი ოქრო **ტიგრან ბანუტიანმა** (29) დაუბევა.

ირაკლი თავაძე

# სამაგიდე თამაშების მრავალფეროვანი პაკეტები I–VI კლასებისათვის

წესებიანი, სამაგიდე თამაშების მთავარი ამოცანაა: შეუქმნას ბავშვს პოზიტიური განწყობა სწავლისადმი, ხელი შეუწყოს მოსწავლეების სოციალური და სააზროვნო უნარების განვითარებას. ამ თამაშების დროს თამაშში ჩართულ მოსწავლეებს უწევთ: ანალიზი, მსჯელობა, კატეგორიზაცია/დახარისხება, დაგეგმვა/ორგანიზება, გადაწყვეტა, შედარება, შეფასება/კრიტიკა, რეფლექსია, შექმნა, გამოგონება, აღმოჩენა, თანამშრომლობა, წარმოდგენა/ვარაუდი, წინასწარი შეფასება/წინასწარმეტყველება, წარდგენა/პრეზენტაცია, გამოყენება, გაკეთება, პრაქტიკაში გადმოტანა, განხორციელება. თამაშები ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამების და გამჭოლი კომპეტენციების შესაბამისად არის შექმნილი.





**რომელი საათია – 8 ლარი**
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
**მხიარული ფრაგმენტების ლოგიკა – 8 ლარი**
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
**ჩრდილები – 8 ლარი**
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
**მოხატული ცხოველების ამბები – 8 ლარი**
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
**სხვადასხვა სიტუაციები – 8 ლარი**
(ჯგუფური თამაში);
**შეგრძნებები – 8 ლარი;**
**მხიარული ცისარტყელა – 8 ლარი**
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
**მხიარული წილადები – 8 ლარი**
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
**დავეხმაროთ რიცხვებს – 8 ლარი**
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
**ვითვლი: 10-მდე, 20-მდე, 100-მდე – 8 ლარი**
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
**გავუმასპინძლდეთ სტუმრებს – 23 ლარი**
(ჯგუფური თამაში, გათვლილია მთელ კლასზე);
**ფერადი მოზაიკა – 8 ლარი**
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში).




### სასწავლო პროექტები

წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და გაწერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საგანში.




### ქართული I–VI კლასები

წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I–VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩააბარონ საგნობრივი გამოცდა.

### პროფესიული უნარები

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის




### მასწავლებლის სამუშაო რვეული



4 ლარი

### ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში



6.50 ლარი

### ინტერაქტიური მეთოდების კრებული



6 ლარი

### კათედრის გეგმის პორტფოლიო



6 ლარი

### მასწავლებლის კალენდარი



5.50 ლარი

### ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის



14 ლარი

## ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.



სერიის ფასი – 32.40 ლ

## ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.



სერიის ფასი 17.70 ლ

## მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing
ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ






12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი



10 ლარი

**ფიზიკა**
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერაია



7 ლარი

**ქართული ენის გრამატიკა**
სინტაქსი
(სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე



8 ლარი

**ქართული ენის გრამატიკა**
მორფოლოგია
(სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე



წიგნი II „ვეფხისტყაოსანი“
წიგნი IV XX საუკუნის მწერლობა
წიგნი I ძველი ქართული მწერლობა
წიგნი III XIX საუკუნის მწერლობა

*თითო ტომის ფასი – 13 ლარი*



10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)



4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის



10 ლარი

**ბიოლოგია** (II ნაწილი)
ეროვნული გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე,
ქ. მაღრაძე, ღ. ნაზირიშვილი



9 ლარი

**ისტორია**
საატესტატო გამოცდისთვის
ნ. ახმეტელი,
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. მურღულია

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
**შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:**
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
**რედაქციის საბანკო რეკვიზიტები:** შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X